ახალი განათლება

24-30.05.2018

№18 (812) გაზეთის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 2

აბიტურიენტი

დღევანდელი საგამოცდო მოდელი დახვეწას საჭიროებს

გვერდი 6

იურისტის კონსულტაცია

შეკითხვებზე პასუხობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი მეგი საკანდელიძე

Suallara cavabları Gürcüstan Müəllimlər və Alimlərin Həmkarlar İttifaqının hüquqşünası cavab verir.

Հարցերին պատասխանում է Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան:

მათემატიკის პედაგოგთა საყურადღებოდ

კრებული პრაქტიკული ხასიათისაა და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებისთვის. მასში შეტანილია სავარჯიშოები და ტესტები, მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამის გათვალისწინებით. კრებულში 4 ტესტია, თითოეული მოიცავს:

- ⇨ 30 ერთჟულიან დახურული ტიპის სავარჯიშოს სავარაუდო პასუხებით;
- ⇨ ერთ 10-ჟულიან სავარჯიშოს;
- ⇨ ერთ 5-ჟულიან სავარჯიშოს;
- ⇨ ერთ 7-ჟულიან ღია ტიპის სავარჯიშოს პასუხებით.

ფასი – 10 ლარი

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად, „ახალი განათლების“ ფიგნის თარო, 1 მაისიდან, შემოგთავაზებთ სპეციალურად არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის, გამოცემულ კრებულებს „მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით“.

დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

ფასი – 9 ლარი

აბიტურიენტი

დღევანდელი საგამოცდო მოდელი დახვეწას საჭიროებს

რამდენად მომზადებული ხვდებიან უფროსკლასელები გამოცდებს, რომელ უნივერსიტეტებსა თუ მიმართულებებს ანიჭებენ უპირატესობას და ამზადებს თუ არა სკოლა მათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის – ამ თემებზე მოსაზრებებს გვიზიარებენ მეთორმეტეკლასელები.

გიორგი გიორგოზიანი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა

სამწუხაროდ, გამოცდებს სათანადოდ მომზადებული ვერ ვხვდები, რადგან არ მქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რაც, ალბათ, აისახება კიდეც ჩემი ტესტირების შედეგზე.

საატესტატო გამოცდებზე მინიმალური ზღვრის გადალახვა მართებულად მიმაჩნია, ადრე არსებული მოდელი, რომლის დროსაც ქულა იწერებოდა, არ იყო ცოდნის სწორად შემფასებელი და ვფიქრობ, უსამართლოც იყო. ახალი მეთოდი უფრო კორექტულია და ზედმეტ კრიტერიუმებს არ შეიცავს.

როგორც საატესტატო, ისე ეროვნული გამოცდების თანამედროვე მოდელი ნაწილობრივ მომწონს, ჯერ კიდევ ბევრი კომპონენტია მოსაგვარებელი, დასახვეწი და გადასახედი. ამ ბოლო დროს, რატომღაც აბიტურიენტები ყველაზე ხშირად პროფესიად ირჩევენ დაწყებით პედაგოგიკას, ტურიზმს, ჟურნალისტიკას... ბევრჯერ მიფიქრია, რომ ხშირად, ახალგაზრდები, გაუაზრებლად ირჩევენ პროფესიას. ბევრს ადვილი ჰგონია ამა თუ იმ პროფესიის შესწავლა, როცა რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან, საკმაოდ ბევრ სირთულეს აწყდებიან და პროფესიის შეცვლაც კი უწევთ. არც ის მიმაჩნია სწორად, როცა აბიტურიენტები ფაკულტეტს იმის მიხედვით ირჩევენ, სადაც დაბალი კონკურსია და ადვილად შეძლებენ მოხვედრას ან კიდევ სასწავლებლის პრესტიჟულობის გამო. მე ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ავირჩიე. ჩვენს თაობაში უპირატესობას სახელმწიფო უნივერსიტეტებს ანიჭებენ. ბევრი ჩემი მეგობარი უპირატესობას პროფესიულ სასწავლებლებს ანიჭებს, არის ისეთი პროფესიული მიმართულებები, რომლითაც მომავალში შეიძლება დავინტერესდე და დავეუფლო კიდეც.

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში სასკოლო განათლება მთლიანად ორიენტირებულია გამოცდებისთვის მოსწავლეების მომზადებაზე, რადგან მარტო სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი არ არის უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად. მოსწავლისთვის აუცილებელია, გაკვეთილმა საინტერესოდ და შემოქმედებითად ჩაიაროს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, შემოქმედებითობა შეზღუდულია.

თემურ კოგახიძე
თბილისის 128-ე საჯარო სკოლა

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოცდებს კარგად მომზადებული ვხვდები. რაც შეეხება მიღებულ ცოდნას, სჯობს შედეგებს დაველოდოთ, ისინი გაგვცემენ ამ კითხვაზე ყველაზე ზუსტ პასუხს.

რეალურად, საატესტატო გამოცდების დანიშნულება ჩაჭრა-არჩაჭრის საკითხის გადაწყვეტაა. ქულით თუ ქულის გარეშე, ტესტირება შედეგს მაინც გვიჩვენებს. ეს გადაწყვეტილება სავსებით მისაღებია ჩემთვის. უარყოფითი და დადებითი მხარეები თითოეული ადამიანისთვის განსხვავებულია, ჩემთვის ეს უბრალოდ ცვლილებაა, რომელიც გამოცდების მოდელს არანაირ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ სძენს.

თანამედროვე საგამოცდო მოდელი შეცვლას და დახვეწას საჭიროებს. სანამ არ მოხდება ცვლილება უკეთესობისკენ, საგამოცდო სისტემა ჩემს სიმპათიებს ვერ დაიმსახურებს.

რაც შეეხება ფაკულტეტების არჩევანს, სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია არ მომეპოვება, მაგრამ ჩემ გარშემო ძალიან ბევრს სურს, სამედიცინო სფეროში განაგრძოს სწავლა. ამის ზუსტი მიზეზი ჩემთვის დღემდე უცნობია, ალბათ, სწორედ ეგაა ჩვენს თაობაში პრესტიჟული. მე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი ავირჩიე. ჩემი ვარაუდით, ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტების სიაში წელსაც თავისუფალი და აგრარული, თსუ და სამედიცინო უნივერსიტეტები იქნებიან. ამის მიზეზი სწავლის ხარისხში, ინფრასტრუქტურასა და გაცვლით პროგრამებში უნდა ვეძებოთ.

როგორც ვიცი, პროფესიული განათლება არც ისე პოპულარულია საქართველოში, ჩემ ირგვლივ არც ისე ბევრი მსურველია. ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც სწავლის გაგრძელებას პროფესიულ სასწავლებელში აპირებდნენ, უკვე აიხდინეს სანადელი, მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ.

უფასო ფაკულტეტები, ცხადია, ეხმარება ახალგაზრდებს განათლების მიღებაში, მაგრამ უფასო ან დაფინანსებული განათლების მიღება გრანტის დახმარებითაც შეიძლება. უკანასკნელი განაპირობებს უნივერსიტეტში უფრო ჭკვიანი ახალგაზრდების ჩარიცხვას, რადგან გრანტის ასაღებად შედარებით მაღალი ქულების აღება უწევთ.

გრანტის გაცემის წესს კარგად ვიცნობ, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი და სტანდარტების შესაბამისი. ამიტომ, სანამ არ დაიხვეწება დღეს არსებული გრანტის გაცემის წესი, ჩემს მოწონებას ვერც ეს პროცედურა დაიმსახურებს.

ის, რომ საქართველოში სასკოლო განათლება მთლიანად ორიენტირებულია გამოცდებზე, ცხადია, ზღუდავს როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს, მაგრამ ისეთი სისტემის მოფიქრება, რომელიც შესაბამისი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის არც თუ ისე ადვილია. სხვა მრავალი ქვეყნის განათლების სისტემაც სწორედ გამოცდებზეა მორგებული. კარგი იქნება, ზოგიერთისთვის მხოლოდ გამოცდების ჩაბარება თუ არ გახდება სკოლაში სწავლის მიზანი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერ ალტერნატივა არც აქ ჩანს.

ბექა ჩანქსელიანი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის საჯარო სკოლა

საატესტატო გამოცდებს კარგად მომზადებული ვხვდები, ხოლო ეროვნული გამოცდებისთვის ჯერ კიდევ ვმეცადინეობ, რადგან არის საკითხები, რომელთა დახვეწა და საფუძვლიანად დამუშავება მჭირდება.

საატესტატო გამოცდებზე შეფასების ქულის გაუქმებას, ჩემი აზრით, უფრო მეტი უარყოფითი მხარე აქვს, ვიდრე დადებითი. დადებითი მხოლოდ ის არის, რომ მოსწავლეებს აღარ შეექმნებათ დაბალი ქულის მიღებით გამოწვეული დისკომფორტი. უარყოფითი მხარე – მოსწავლეების დიდმა რაოდენობამ, მათ შორის მეც, დაკარგა სწავლის მოტივაცია. დარწმუნებული ვარ, ბარიერს ადვილად გადავლახავ, ამიტომ ბევრს აღარ ვმეცადინეობ. თუ საატესტატო გამოცდების მოდელის პრინციპი მხოლოდ ბარიერის გადალახვაა, მაშინ რა საჭიროა გამოცდები? სკოლას პირდაპირ მიენიჭოს ატესტატის გაცემის უფლება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი ძალიან მომწონს, ვფიქრობ, ყოველწლიურად კიდევ უფრო იხვეწება.

ჩემი მეგობრების უმრავლესობა ისეთ ფაკულტეტებს ირჩევენ, რომელთა უმეტესობას არჩევით საგნად გეოგრაფია აქვს. ჩემს თაობაში ასევე მოთხოვნადი და საინტერესო ფაკულტეტებია ენერგეტიკა და გამოთვლითი ტექნიკა. მე ეკონომიკისა და საფრენი აპარატების მართვის ფაკულტეტი ავირჩიე.

აბიტურიენტების უმრავლესობისთვის სასურველი უმაღლესი სასწავლებელი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტია, ასევე სდასუ და ილიაუნი. ამ უნივერსიტეტებში სწავლის ხარისხიც მაღალია და ფასიც მისაღები. ჩვენს თაობაში გამორჩეული და თითქმის ყველასთვის სასურველი სასწავლებელია თავისუფალი უნივერსიტეტი, მაგრამ ძალიან ძვირია და ამიტომ ბევრი აბიტურიენტი იქ ჩაბარებაზე თავს იკავებს.

პროფესიული სასწავლებლების შესახებ მეტ-ნაკლებად ვფლობ ინფორმაციას. ჩემი მეგობრები პროფესიულში სწავლის გაგრძელებას არ აპირებენ, მაგრამ უმცროსკლასელთა დიდ რაოდენობას სწავლის პროფესიულში გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი.

გრანტის გაცემის წესში არც ისე კარგად ვარ გარკვეული. კარგი იქნება, თუ გრანტის გაცემა მხოლოდ უნარების და არჩევითი საგნის ჯამით მოხდება.

უფასო ფაკულტეტების არსებობას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი არ მოუტანია. თუმცა, ერთბაშად გაუქმებას, სჯობს 10-15 აბიტურიენტის ადგილი დატოვონ, სადაც მოხვედრა მაღალი ქულით იქნება შესაძლებელი.

თორნიკე მიგინეიშვილი
ფოთის მე-5 საჯარო სკოლა

მთელი წელია, საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის აქტიურად ვემზადები, ამიტომაც მიმაჩნია, რომ კარგად ვარ მომზადებული, თუმცა, ამ ეტაპზე, მეტ ყურადღებას საატესტატო გამოცდებს ვუთმობ. მისი წარმატებით დასრულების შემდეგ, მაქსიმალურად ვეცდები, უკეთ მოვემზადო ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

წლევანდელ ცვლილებას საატესტატო გამოცდებზე აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. კარგია იმ მხრივ, რომ მოსწავლეები ნაკლებად ნერვიულობენ ნიშნის გამო, ნაკლებად დაძაბულები არიან გამოცდის პროცესში, რაც ცოდნის მაქსიმუმის გამოვლენაში ეხმარებათ. მაგრამ აქვს ცუდი მხარეც – მოსწავლეებში დაიკლო მოტივაციამ.

ვფიქრობ, საატესტატო გამოცდების სისტემა არ განსაზღვრავს ბავშვის ცოდნის დონეს. დავალებები როგორც რაოდენობის თვალსაზრისით, ასევე სირთულის მიხედვით არასწორადაა გადანაწილებული. რაც შეეხება ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ჯერ პირადი გამოცდილება არ მაქვს ამ საკითხზე, თუმცა, თუ წინა წლების ტესტების ნიმუშებს დავეყრდნობი, ჩემი აზრით, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ბარიერი შედარებით მაღალი უნდა იყოს და ტესტებიც უფრო რთული.

აბიტურიენტები, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფაკულტეტს ირჩევენ, ძირითადად, რამდენიმე ფაკულტეტია პოპულარული: ბიზნესი, სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და სამედიცინო. ნაწილი იმიტომ ირჩევს, რომ ნამდვილად მოსწონს ეს პროფესია, ნაწილი სხვისი გავლენის ქვეშ ექცევა, უმეტესობას არ აქვს გადაწყვეტილი, რომელ ფაკულტეტზე სურს სწავლა და პოპულარულ პროფესიას ირჩევს. მე სამართალმცოდნეობა ავირჩიე, რამდენიმე წელია მომწონს ეს სფერო და მსურს, მომავალში, ჩემი პროფესია გახდეს. მთავარია, ადამიანი იყოს იმ სფეროში და აკეთოს ის საქმე, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს.

უნივერსიტეტის არჩევა, ხშირად, ფაკულტეტის არჩევაზე რთულია, რადგან აბიტურიენტთა უმრავლესობა ყურადღებას აქცევს, როგორი გარემოა უნივერსიტეტში, როგორი ლექტორები არიან, აქვს თუ არა გაცვლითი პროგრამები და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ პრაქტიკულ ცოდნას აძლევს სტუდენტს. თუმცა, ხშირად, ფასი გადამწყვეტია, სწავლის საფასური ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ვფიქრობ, საქართველოში პროფესიულ განათლებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ყველანაირად უზრუნველყოფილი პროფესიული სასწავლებლები მხოლოდ რამდენიმე ქალაქშია, ამიტომაც, მოსწავლეების უმეტესობა განვითარების ამ გზას არ ირჩევს. ყველას სურს უმაღლესი განათლების მიღება, რადგან მიიჩნევენ, რომ პროფესიულ განათლებას საქართველოში პერსპექტივაც ნაკლები აქვს და ხელშეწყობაც. წელს ჩემს სკოლას სამოცამდე ახალგაზრდა ამთავრებს, როგორც ვიცი, არც ერთი არ აპირებს სწავლის გაგრძელებას პროფესიულ სასწავლებელში.

კარგად ვიცნობ გრანტის გაცემის წესსაც და, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაა, გრანტის მოპოვებისას, პრიორიტეტი უნარების ქულას (1,5) რომ ენიჭება. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, როგორ უნარებს ფლობს აბიტურიენტი, სწორედ ამით შეიძლება გავნსაზღვროთ მისი შესაძლებლობები.

უფასო ფაკულტეტების გაუქმება შეცდომა იქნება, რადგან ამ შემთხვევაში, ბავშვებს, რომელთა ოჯახებსაც არ აქვთ საშუალება, გადაიხადონ 2250 ლარი (ან კიდევ უფრო მეტი) სახელმწიფო ართმევს საშუალებას, მიიღონ უმაღლესი განათლება.

საქართველოში სასკოლო განათლება, ნამდვილად, მხოლოდ გამოცდებისთვის მოსწავლის მომზადებაზეა ორიენტირებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვსწავლობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კატის, შემდეგ კი ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩავაბაროთ, სტუდენტები გავხდეთ და დიპლომი გვქონდეს. დაშვებითაც არ ვუშვებთ, რომ რომელიმე ბავშვს შეიძლება სულაც არ სურდეს უმაღლესი განათლების მიღება და იქნებ უკეთესი პროფესიონალი დადგეს, ამა თუ იმ ხელობას თუ დაეუფლება. ცუდ, უხეირო დიპლომიან უმაღლესდამთავრებულს, ნამდვილად სჯობს თავისი საქმის უდიპლომო პროფესიონალი.

გესო ძურასგედიანი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის საჯარო სკოლა

საატესტატო გამოცდებს მომზადებული ვხვდები, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის კი კვლავ ვაგრძელებ მზადებას. ვეცდები, დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენო.

საატესტატო გამოცდებზე ქულას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსწავლეებისთვის. სიახლემ ბევრს მოტივაცია დაუკარგა. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება მისაღებია მათთვის, ვისთვისაც პრიორიტეტს ბარიერის გადალახვა წარმოადგენს.

საატესტატო გამოცდების მოდელი, ეროვნული გამოცდების მოდელისგან განსხვავებით, სერიოზულად დასახვეწია.

აბიტურიენტების უმეტესობა ისეთ ფაკულტეტებს ირჩევს, როგორიცაა: სამედიცინო, სამართალი, ეკონომიკური. ეს არჩევანი, ძირითადად, მომავალში კარგი ანაზღაურებითაა განპირობებული. მე ავირჩიე ჩემი საყვარელი საქმიანობა – IT სფერო, საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ყველაზე პრესტიჟულია სახელმწიფო უნივერსიტეტები – ილიაუნი, ჯავახიშვილი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის... თუმცა, არანაკლებ მოთხოვნადია კერძო უნივერსიტეტებიც – სეუ, თავისუფალი, კავკასიის და სხვ. პრესტიჟულობას ახალგაზრდებში ხარისხიანი სწავლება განსაზღვრავს.

პროფესიულ სასწავლებლებზე საკმაოდ კარგად ვარ ინფორმირებული, რამდენიმე ჩემი მეგობარი ქუთაისის პროფესიულ სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას, მათ ამ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, მივესალმები.

რაც შეეხება გრანტის გაცემის წესს, ვიცი, რომ ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შეფასების მიღების შემთხვევაში მომენიჭება გრანტი, რაც, ბუნებრივია, სწორი გადაწყვეტილებაა.

უფასო ფაკულტეტების გაუქმება მიუღებელია, რადგან ჩვენს ქვეყანაში არის მოსახლეობის ის კატეგორია, რომელსაც უჭირს სწავლის საფასურის გადახდა, თუმცა აქვთ სწავლის სურვილი.

სასკოლო განათლების პროგრამა მთლიანად გამოცდებზეა ორიენტირებული, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ საკითხებს, რომელიც გამოცდებისთვის გვჭირდება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას. თუმცა, რამდენად ამზადებს სკოლა მოსწავლეს გამოცდებისთვის, ეს ცალკე საკითხია.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ლიტერატურის სწავლებისათვის

როგორ ვიმუშაოთ დიდი მოცულობის ტექსტებზე პერსონაჟთა დახასიათებისას

ამა თუ იმ ვრცელი ნაწარმოების სწავლებისას, მოსწავლეების ყურადღებას ვამახვილებთ სახე-პერსონაჟებზე, რომლებზეც უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

რა პრინციპები უნდა დავიცვათ ამისათვის?

1. სახე-პერსონაჟების დახასიათების პროცესში მოსწავლეებს, პირველ რიგში, მკაფიო და ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნათ იმ დროსა და სოციალურ წრეზე, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა პერსონაჟს.

2. სახე-პერსონაჟი ყოველთვის უნდა განვიხილოთ იმ საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით, რომელსაც იგი ასრულებს მოცემულ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, როგორც გარკვეული იდეის მატარებელი ფიგურა.

3. პერსონაჟის ადგილი ნაწარმოებში, მისი მოქმედება და შეხედულებანი უნდა შეფასდეს თანამედროვეობის პოზიციიდან. პერსონაჟთა დახასიათებისას არ უნდა დავუშვათ მისი იზოლირება ნაწარმოებში ასახული გარემო პირობებისაგან.

4. დახასიათების პროცესში უნდა შეგვეძლოს პერსონაჟის გამოკვეთილი თვისებებისა და მაორგანიზებელი ხასიათის მოძებნა.

ცალკეული სახე-პერსონაჟის დახასიათების მიზანია:

1. პერსონაჟის სოციალური ბუნების გარკვევა;

2. პერსონაჟის ფსიქო-იდეოლოგიის გარკვევა, რომელიც განპირობებულია სოციალური ბუნებითა და საზოგადოებრივი პრაქტიკით;

3. პერსონაჟისადმი ავტორის დამოკიდებულების გარკვევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკვე შეგვიძლია დიდი მოცულობის ტექსტზე მუშაობა და მნიშვნელოვან პერსონაჟთა დახასიათება.

მაგალითისათვის ავიღოთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

დავახასიათოთ შორენა, თალაგვა კოლონკელიძის ტურფა ასული. იგი გაოცებას იწვევს მკითხველში თავისი ზნეობრივი სიფაქიზითა და ადამიანური სისპეტაკით. ქალური სათნოება, კეთილშობილება, ვაჟკაცური სული, პატრიოტული გრძნობა და გულწრფელი მიჯნურობა – აი, რა ახასიათებს მას. *„ლაზისტანის ზღვა ელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში. ისეთი სიყვითლე გადასდიოდა თავთუხისფერ კულულებს, როგორიც ახლად გამოჩენილ ხოხბის ლაპებს გადაჰკრავს ხოლმე. ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბინის ფრთები და სევდიანი, როგორც ყინწვისის მჭმუნვარე ანგელოსი. ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა, როგორც ვერცხლის ეჟვნები, ხევისბერების დროშის ბუნზე შებმულნი. ჰარილესავით რბილი და ტკბილი იყო მისი ბუნება. ეკბატანას ვარდივით ბრწყინავდა შორენა უმშვენიერეს დიაცებსა და ყვავილებს შორის.“*

კონსტანტინე გამსახურდიას რომანის დამამშვენებელს ველის ბრდღვიალა ყაყაჩოებიც კი სცემდნენ თაყვანს. სწორედ ეს საოცარი სილამაზე გახდა მიზეზი მისი უბედურებისა, ამ მონურად ავბედმა მშვენიერებამ დაიპყრო გვირგვინოსანი მეფე და სწორუპოვარი ხუროთმოძღვარი. თალაგვა კოლონკელიძის პირმშვენიერი ასული გახდა უნებლიე მიზეზი სახელოვანი ერისთავების – ჭიაბერისა და გირშელის დაღუპვისა. შორენას დატყვევება გამოწვევად ჩათვალა გიორგი მეფემ მამამზე ერისთავისგან და კვლავ დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი.

უდარდელად იზრდებოდა ერისთავის მხოლოდშობილი ასული კვეტარში. იგი დანიშნეს მამამზე ერისთავის მშვენიერ ვაჟზე – ჭიაბერზე, მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: თალაგვა კოლონკელიძე მეფეს განუდგა, მამამზე ერისთავთან ერთად ფხოვში ქრისტიანობის დევნა დაიწყო და წარმართული ბომონები აღმართა. მეფე გიორგიმ გადაწყვიტა, აელაგმა თავხედ ფეოდალთა პარპაში. მან ვერაგულად მოაკვლევინა შორენას სატრფო, მამამისს კი თვალები დასთხარა – მზე დაუბნელა (*„ნუშისგულივით თეთრი ღაწვები დაიხოკა შორენამ“).*

იცვლება შორენას ცხოვრება – მას თავისუფლებას წაართმევენ. მცხეთაში ტყვედ ჩამოყვანილი ქალიშვილი მტკივნეულად განიცდის თავისუფლების დაკარგვას, ერთადერთ იმედად მას სიყრმის მეგობარი, ხუროთმოძღვარი არსაკიძე, ეგულება. შორენა თითქოს ბავშვობიდანვე გრძნობს, რომ ეს ჭაბუკი არ არის მისი ძუძუმტე, მაგრამ გამხელა უმძიმს. იგი მზადაა, ყველაფერი შესწიროს მიჯნურს, თუმცა წინასწარვე გრძნობს, რომ განწირულია მათი სიყვარული, რადგან იცის, ერისთავის ასულს მეფის ხუროთმოძღვარს არ მიათხოვებენ.

შორენას სიყვარულით გატაცებული გიორგი მეფე მზადაა, გაეყაროს დედოფალს, არ დაერიდოს მელქისედექ კათალიკოსის რისხვას და თანამეცხედრედ გაიხადოს ბედგამწარებული ქალი, მაგრამ კოლონკელიძის ასული მტკიცე ნებისყოფისაა. არსაკიძეც რომ არ უყვარდეს, მაინც არასოდეს უთანაგრძნობს გიორგის, რომელმაც ამდენი სატანჯველი მოუტანა მას და მის ოჯახს. *„მეფე გიორგიმ თვალები დაუბნელა მამაჩემს, უმალ სიკვდილის ცოლი გავხდები“,* – აი, რა სიძლიერე ჩანს გამსახურდიას რომანის ამ პერსონაჟის სიტყვებში.

არც ერთი მესაიდუმლე არ ჰყავს შორენას, არსაკიძის გარდა, არავის უზიარებს ჭირსა და ვარამს, უტას გარდა. *„მეც შენსავით მარტო ვარ, როგორც მარტოხე, ქარისაგან დაბრიყვებული, მე მუდამ შენთან ვიყავი, მაგრამ შენ ვერ ხედავდი ამას, მე ვიცოდი, მზექალა რომ იყო შენი ძუძუმტე, მაგრამ ამის თქმა გულის ნადებსაც გამიმხელდა. არ ვარგა, როცა გულწრფელობაში ქალი დაასწრებს ხოლმე ვაჟს“,** მიმართავს იგი სატრფოს.

როგორც ჩანს, ბავშვობიდანვე დაუპყრია არსაკიძის გული შორენას, მაგრამ იგი მაინც დაეთანხმა ჭიაბერის ცოლობაზე, რადგან ამ გზით აიცდენდა შორენა გიორგი მეფის თანამეცხედრეობას. წინდახედული, გულწრფელი, ამაღლებული სულის მქონე ქალისთვის ადვილი არაა, სხვის უბედურებაზე ააგოს საკუთარი დიდება და პატივი.

საოცრად იტანჯება შორენა. მცხეთაში მას მეფე გიორგიმ ახალი საქმრო გამოუძებნა – ყველისციხის პატრონი – გირშელი. სასახლის ურიცხვი ჭორებისა და ტყვეობისაგან განანამები შორენა ერთადერთ შვებას არსაკიძესთან ურთიერთობაში ხედავს, მაგრამ ჭკვიანი ქალი იმასაც კარგად გრძნობს, რომ თითქოს სვეტიცხოველი სატრფოზე ძვირფასი შექმნილა ხუროთმოძღვრისათვის. *„მეც შენსავით მუდამ მიუწვდომელსა და შეუძლებელს ვეტრფოდი ჩემს სიცოცხლეში, უტა, შორეული მუდამ უფრო სანუკვეარია, ვიდრე – მახლობელი... ველს რომ გადავხედავ, უცნაური მღელვარება შემიპყრობს, მინდა, ვიარო ცის კიდეებიდან ცის კიდეებამდე – ვიარო და აღარ მოვბრუნდე ჩემს სამფლობელოში აღარასოდეს“,* – ამბობს შორენა.

თვალებდამწვარი მამის მხოლოდშობილი ქალის გამბედაობასა და სიმამაცეს განცვიფრებაში მოჰყავდა ვაჟკაცებიც კი. *„დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას არ შევარჩენ მეფე გიორგის... მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შემოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარსაც გავუძღვები“,* – ამბობდა შურისძიების გრძნობით ანთებული შორენა, რომელმაც დედოფლის გვირგვინიც კი უარყო, რათა სიყვარულის გვირგვინი დაედგა თავზე.

ნაზი და ჰაეროვანი ასული კვეტარის ერისთავისა თითქოს დარწმუნებულია, რომ მისი საოცარი სიტურფის წინაშე ქედს მოიხრის ყოველგვარი სულდგმული, მძვინვარე ავაზაც კი. ქალის სიმტკიცესა და შეუპოვრობას ყველაზე მეტად მასთან გაზრდილი არსაკიძე გრძნობდა. ამიტომაც ეუბნებოდა შორენას: *„შენ ხომ სხვა დიაცივით მშიშარა არა ხარ?.. რაინდზე ადრე მიეახლე მეფის ავაზას“.* ასეთ ქალს, რაღა თქმა უნდა, სძულს გიორგი მეფე, რომელმაც მამა დაუბრმავა, თავისუფლება წაართვა. ამიტომაც იგი პირში მიახლის გამიჯნურებულ რაინდს: *„მე მგონია, რაც წამართვი, ისიც გეყოფა, მეფევ ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე – თავისუფლება, – ხოლო ჩემი გული? – სხვას ეკუთვნის დიდი ხანია იგი“.* ეს სხვა კი არსაკიძეა, შორენა მისი სიყვარულის ერთგული რჩება ბოლომდე და მასვე ეწირება მსხვერპლად.

ასე დასრულდა სვეგამწარებული სიცოცხლე შესანიშნავი ქალისა, რომელიც გვხიბლავს არა მარტო გარეგნული ბრწყინვალეებით, არამედ – სულიერი სილამაზითაც.

თუკი მოსწავლეები ასეთი კუთხით შეხედავენ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, უკვე შეძლებენ საკუთარი თუ ავტორის დამოკიდებულების გადმოცემას, პერსონაჟის სრულყოფილად დახასიათებას და მისი ქცევის მოტივაციის გაგებასაც. ამაში კი მათ დიდ დახმარებას გაუწევს ნაწარმოების შესწავლის დასაწყისშივე მათ მიერ შექმნილი „ჩანაწერთა წიგნი“, სადაც გზადაგზა ამოიწერენ მთავარი პერსონაჟების დამახასიათებელ ადგილებს და რომანის ბოლოს უკვე ექნებათ ერთად თავმოყრილი ე.წ. „შავი მასალა“ პერსონაჟების დახასიათებაზე სამუშაოდ.

ელისო გაგათაშვილი
თბილისის 76-ე საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

ახალი ამბები

ჯანსაღი ცხოვრების წესი საჯარო სივრცეს იპყრობს

ჯანსაღი ცხოვრების წესი სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სწორედ ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ერთობლივი ინიციატივითა და ორგანიზებით, თანამშრომლებს შორის მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონატი გაიმართა. სპორტულ ღონისძიებაში სამინისტროს დეპარტამენტებიდან წარმოდგენილი გუნდები ჩაერთვნენ, რომელთა შემადგენლობაც 2-2 ადამიანით (1 ქალი, 1 მამაკაცი) განისაზღვრა. შეჯიბრი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა და გუნდურ ფინალში ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

საფინალო ეტაპზე გასული მონაწილეები განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა** დააჯილდოვა საპატიო სიგელებით. მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება იქნება გამოწვევა ყველა საჯარო უწყებისთვის, რათა ცხოვრების ჯანსაღი წესი პრაქტიკულადაც დამკვიდრდეს საჯარო სივრცეში, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის სამაგალითო იქნება.

ეროვნული უმცირესობებისთვის დარგობრივი სახელმძღვანელოები შეიქმნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის, ქართული ენის დარგობრივი მიმართულებების სახელმძღვანელოები გამოსცა.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში მომზადებული სახელმძღვანელოები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს, დაეუფლონ კონკრეტული პროფესიული მიმართულების ლექსიკას. ამასთან, ხელს შეუწყობს მათი პიროვნულ-მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას და დაეხმარებათ, სრულფასოვნად ინტეგრირდნენ სამოქალაქო საზოგადოებაში.

ახალი სახელმძღვანელოები სკოლის ვებგვერდზე – www.zspa.ge – განთავსდება და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს, შეისწავლოს ქართული ენა ან, კონკრეტული დარგის ფარგლებში, ცოდნა გაიღრმავოს.

ჟვანიას სკოლა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროგრამას, ენის ფლობის 3 დონის ფარგლებში ახორციელებს: A1 (ენის გასაღები), A2 (ენის საფუძველი) და B1 (ზღვრული). 2017-2018 წლებში სკოლამ B1+ დონის დარგობრივი მიმართულების შემდეგი პროგრამები მოამზადა: სამართალმცოდნეობა, ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, ფინანსები და შესყიდვები, სამოქალაქო განათლება; A2+ დონის – დამხმარე კურსი პედაგოგთათვის.

პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე თევზაძე**, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, სახელმძღვანელოებზე მომუშავე მეთოდისტები, ექსპერტები და ჟვანიას სკოლის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„სახელმწიფო ზრუნავს საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებზე და უზრუნველყოფს მათ იმ მექანიზმებით, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით. შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურსების განვითარებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ის ხუთი სახელმძღვანელო, მიმართულებების მიხედვით, რომელიც დღეს წარვადგინეთ და რომელიც შემუშავებულია ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის მიერ, ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეების სახელმწიფო ენაზე განათლებას, მათ პროფესიულ თუ კარიერულ წინსვლას და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ინტეგრირებას.“*

სამოდელო გაკვეთილი

ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას

გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „დიდი იოსები“

„მთავარი ის კი არაა იკითხო, მთავარია იფიქრო.“
შარლ მონტესკიე

ეს თეზა კარგად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების ძირითად მიმართულებებს IX კლასში. მიზნის მისაღწევად და შედეგზე გასასვლელად, საგაკვეთილო პროცესით გასავლელი გზა მოსწავლეთა კოგნიტური პროცესების გააქტიურებას ითვალისწინებს (ესგ ქართ. IX.1-IX.5-IX.6-IX.8).

ფიქრი ადამიანისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც, თავისი არსით, სამყაროსა და გარემომცველი სინამდვილის გავლენის შედეგად, აბსოლუტურად ინდივიდუალური შთაბეჭდილებებით აღმოცენებული პროცესია, კონკრეტული მიზნისკენ მიმართული, დროის სამი განზომილების ფარგლებში – წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებით. ფიქრი არის განსჯა, მოვლენათა ანალიზი ან მიზნისკენ მიმართული სულიერი მდგომარეობა.

სწორედ ფიქრი იქნება საჭირო დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად – გმირის სულიერი სამყაროს, მისი ფიქრებისა და განცდების თვალის დევნება მოგვიწევს, დაგვჭირდება იოსების ფსიქიკაში ნაფიქრ-განცდილის გააზრება, მისივე ფსიქოლოგიური განწყობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობით.

რა არის ფსიქოლოგიური პორტრეტი?

ფსიქოლოგია, ზოგადად, **ადამიანის სულიერი მდგომარეობაა**, რაც ვიზუალურად არ ჩანს. იმისათვის, რომ შევქმნათ ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, დაგვჭირდება სამი კითხვა: **რა? როგორ? რატომ?**

გაკვეთილის თემა – დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „დიდი იოსები“.

გაკვეთილზე პირველი – ***გამოწვევის ფაზის*** შექმნისათვის თვალსაჩინო ადგილზე ვათავსებ (თემისა და მისაღწევი შედეგების ჩვენებასთან ერთად) ფსიქოლოგიურ ფორმულას – **„ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“**. ამ სლოგანით კლასში **შეიქმნება განწყობა**, ბავშვებს გაუჩნდებათ განცდა, რომ გაკვეთილზე მუშაობა წარიმართება გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად.

მოსწავლეებს მივმართავ კითხვით – რა იგულისხმება ცნებაში **ყოფიერება**?

სავარაუდოდ, პასუხი ერთმნიშვნელოვანი იქნება: ყოფიერება არის ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, ის სოციალურ-პოლიტიკური ფონი, რომელშიც ცხოვრობს პიროვნება, ჩვენ შემთხვევაში – დიდი იოსები.

გაკვეთილის მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რადგან ესაა გმირის **ყოფიერების ასახვა**, იმ გარემოს გათვალისწინება, რომელშიც ჩამოყალიბდა იოსების **ფსიქოლოგიური ფენომენი, ცნობიერება**.

მოსწავლეებს ვაცნობ ეპოქას, ისტორიულ ვითარებას, კერძოდ, მოიგონებენ 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებს. ვთხოვ წინარე ცოდნის გამოყენებას. ერთი მოსწავლე წაიკითხავს კოლაუ ნადირაძის ლექსს „25 თებერვალი. 1921წ.“.

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი
ძილღვიძად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!..“

ლექსის წაკითხვის შემდეგ, კითხვა-პასუხის რეჟიმში, მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიის ამ სისხლიან თარიღზე ისაუბრეს, ისტორიული ფაქტები ლექსში გამოხატულ რეალობასა და პოეტის ემოციას დაუკავშირეს, ისაუბრეს დოკუმენტურ მასალაზე, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის მიმართვაზე უნივერსიტეტის სტუდენტებისადმი, კოჯრისა და ტაბახმელას ბრძოლებზე, კადეტთა კორპუსის გმირებსა და მარო მაყაშვილზე...

ლექსის წაკითხვის შემდეგ დაასკვნეს, რომ ამ პოეტურ ნაწარმოებში მძაფრი ემოციით ასახული მწარე რეალობა რუსეთის მე-11 არმიის შემოქმედებაა, მენშევიკური მთავრობა დაემხო და სისხლითა და მახვილით დამკვიდრდა ბოლშევიკური მთავრობა საქართველოში.

აქ იწყება გაკვეთილის ***მეორე ფაზა*** – სიღრმისეული წვდომა, რაც დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის აუცილებელი პირობაა. ამ ფაზაზე გადასასვლელად მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ კონსტანტინე გამსახურდიას ავტობიოგრაფიული ჩანაწერი.

შემდეგ ვაძლევ დავალებას, კ. გამსახურდიას „დიდი იოსებიდან“ წაიკითხონ ფრაგმენტები. „ქაოსი დედაქალაქში“ – ამ რუბრიკაში გაერთიანდა აწიოკებული და შეშინებული თბილისელების გადინება ქალაქიდან, სპონტანური მცდელობები ჯერ სიცოცხლის გადასარჩენად, შემდეგ კი – ქონების, ასეთი დამაჯერებლობითა და ოსტატობით რომ ასახა მწერალმა ნოველაში. „მოდიან!.. ლილოს მხრიდან გვიახლოვდებიან!.. მთავრობა გაიქცა!..“ – ისმოდა განწირული ხმები აფორიაქებული ქალაქის ქუჩებში. სწორედ ამ აფორიაქებული ქალაქის მოსახლეობის ფონზე შემოჰყავს მწერალს ნოველის გმირი – დიდი იოსები.

აქვე ვამახვილებ ყურადღებას საინტერესო მასალაზე – კონსტანტინე გამსახურდიას მოგონება **„როგორ ვწერ“**, რომელშიც **დიდი იოსების პროტოტიპზე** მიგვანიშნებს. მწერლის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერს ვაჩვენებ მონიტორზე, მის ნააზრევში მუქად იქნება აღნიშნული **სამიზნე სიტყვები**, რომელთა გავრცობა გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის გამოდგება:

„თითქმის ორი წლის განმავლობაში ვწერდი ნოველას „დიდი იოსები“, გმირის პროტოტიპად მყავდა ჩვენს ეზოში მცხოვრები მეკურტნე, ჩემდეგ კი მეეზოვე იოსებ სხირტლაძე. ეს მოხუცი ფრიად ***უთვისტომო, გულალალი*** *და ლოთობისაგან სრულიად დაავადებული კაცი იყო... ხანდახან* ***ჰალუცინაციებიც*** *ჰქონდა, ელანდებოდა, ვითომ ვიღაცები ხმალში შემოაკვდა, სადღაც დიდი განძი იპოვა, ხანაც ბოლშევიკობდა, მერე ოპოზიციაში ჩაუდგა ბოლშევიკებს და „მენშევიკობა“ დაიწყო...*

ასეთივე იდეაფიქსიც ჰქონდა აჩემებული: ის სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობდი იმ დროს, თითქოს მისთვის ეჩუქნოს მთავრობას.“

ამ ჩანაწერით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმ აზრის ჭეშმარიტებაში, რომელიც განმარტავს: **„ლიტერატურა ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული გარდასახვაა“**.

მოსწავლეებს მივანიშნებ გმირის პროტოტიპისეულ თვისებაზე, რომელიც უთუოდ ახასიათებს ნოველის გმირს – იოსებს, ესაა სიტყვა **„უთვისტომო“**.

მოსწავლეები ასაბუთებენ ტექსტიდან, რატომ იყო მეკურტნე იოსები უთვისტომო. იოსები რაჭველი კაცი გახლდათ, ძმისწულებს ლენჩად გამოეცხადებინათ იგი, წაურთმევიათ ფარდაგისოდენა მიწის ნაჭერი, მისი ღარიბული ქონება მიუთვისებიათ და ამიტომაც თბილისში გადმოსახლებულა ეს თავისიანებისაგან მოძულებული მშრომელი კაცი. ოცდაათ წელიწადს უტარებია მეკურტნის მძიმე ტვირთი, უსახლკაროს სადღაც სარდაფის კიბის ქვეშ მოუწყვია სამყოფი ბუდე, რუტინად ქცეულ მძიმე შრომით ალალ პურს ჭამდა, მას ქალაქში პატიოსან, მშრომელ კაცად იცნობდნენ.

მონიტორზე მასალის ჩვენების შემდეგ, მოსწავლეებს მივანიშნებ დაფაზე თვალსაჩინოდ დაწერილ სიტყვაზე – **„კ ო ნ ტ რ ა ს ტ ი“** და ვთხოვ, ისევ ყურადღება გაამახვილონ ფსიქოლოგიურ ფორმულაზე – **„ყოფიერება განსაზღვრავს *ცნობიერებას“***. გადავდივართ დიდი იოსების ცნობიერების ანალიზზე, მისი სულიერი სამყაროს მიზეზ-შედეგობრივი ფონის ამოცნობაზე, ***„კონტრასტული“*** მახასიათებლების მინიშნებით.

25 თებერვლის ღამეს, სადგურის მოედანზე, დაღლილი მეკურტნე იოსები დგას და, არც ისე დიდი ინტერესით, ათვალიერებს აფორიაქებულ ადამიანებს.

კ ო ნ ტ რ ა ს ტ ი – ყველა გარბის, ფორიაქობს, საათი 12-ს დაჰკრავს, დამფრთხალი მოქალაქენი საშინელი ამბების მოლოდინში არიან.

„ქალაქში გაუგონარი ამბები ხდებოდა, მცხოვრებნი აიყარნენ, ნაყარ ფუტკარსავით აზუზუნდნენ, აბორგდნენ, აზავდნენ, ერთი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა თავისი ბარგით, ნაწილი მოუსვენრად ქუჩებში დაწრიალებდა, საბუღრაოდ გამოსული მოზვრებივით ღმუოდნენ მაფრაშებით, სკივრებით დატვირთული ავტოები, ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ ერთმანეთს, ჩაბღაოდნენ ყურში ბნელ ღამეს და გარბოდნენ, ფუნიკულიორის სადგურის ლიფლიფები ჩაქრა, მამადავითი გაშავდა. დიდი იოსები ამ აფორიაქებული ხალხის სიბრალულმა აიტანა.“

ამ ფონზე, ტვირთის თრევით დაღლილ იოსებს არაფერი აქვს დასაკარგი, ცოტა არყის დალევა სურს, მაგრამ დუქანი დაურდულებული დაუხვდა...

აი, ***კონტრასტი: ქალაქი ისტერიაშია – მეკურტნე იოსები მშვიდადაა...***

სწორედ ამ დროს მასთან მიდის მაღალი, მდიდრულქურქიანი კაცი, მდიდრულად მოვლილი თეთრბეწვიანი ლავერაკის სეტერით ხელში და სთხოვს მეკურტნე იოსებს, გაჰყვეს ბარგის გადასაზიდად. იოსები უარობს, დაღლილი და მშიერი ვარო, მაგრამ კლიენტი არ ეშვება და იოსები მიჰყავს.

ასე აღმოჩნდა ღარიბი, პატიოსანი მეკურტნე მდიდრულ სასახლეში.

ყურადღება მივადევნოთ, გმირის სოციალურ მდგომარეობასთან შედარებით, კონტრასტულ, უჩვეულო გარემოში შემთხვევით აღმოჩენილ იოსებს და მის ფსიქიკას:

„ელექტრონით გაჩახჩახებულ კიბეებზე ავიდა და ბატონურ ბინაში აღმოჩნდა იოსები, ლიცლიცით ბანაობდა რძისფერი ელექტროშუქი განიერი კედლის სარკეებში. ამ მდიდრული ოჯახის ყველა წევრი ჩქარობდა, ფორიაქობდა, ტვირთავდნენ ძარიან ავტომანქანას სხვადასხვაგვარი სიმდიდრით.

„იჩქარეთ, იჩქარეთ, ლილოზე გადმოსულან, ყველაფერი აქ დაგრჩებათ!..“ – იძახდა ნერვიულად ოჯახის უფროსი. ბავშვი ტიროდა, ცხენის წაღება სურდა, დედა ამშვიდებდა, ბათუმში გიყიდიო...“

„მაჩვივით დაჩოჩავდა გაშლილ ზანდუკებს შორის, აუჩქარებლად, გულმოდგინედ შველოდა ჩალაგებაში მეკურტნე აფორიაქებულ ოჯახს. მის გარდა ყველა შფოთავდა, ყველას მუხლი ეკვეთებოდა.“

„მონუსხულივით შესცქეროდა აფორიაქებული ოჯახის მამა დიდი იოსების დინჯი დუმილით მეტყველ სახეს, ...ეხარბებოდა გულის სიღმეში ამ საცოდავი მეკურტნის უებარი სიდარბაისლე და სახლის პატრონს ერთხელაც არ შეუნიშნავს, რომ მეკურტნეს რომელიმე ნივთისთვის თვალი გაეყოლებინა, ჩანდა, უცნობი იყო მისთვის ყოველგვარი თვალბოროტება, ბრძნულ დუმილს ინახავდა დიდი იოსები ყოველ შეხედვაზე, თითქოს ბერი ყოფილიყო დაყუდებული ამქვეყნიური დიდების ამაო ბრწყინვალების გულცივად მჭვრეტელი.“

აქედან ჩანს, რომ მეკურტნე იოსების ფსიქიკა ჯერ კიდევ მშვიდი და აუმღვრეველია, ამას სახლის პატრონიც გრძნობს და შურს კიდეც მისი.

ერთი რამ, რამაც გააოცა დიდი იოსები, ეს იყო ფოლადის მანეკენი, ეს უცნაური ქმნილება ცოცხალ კაცს ჰგავდა, თავზე ყაბალახმოხვეული, უშველებელ ხმალს დაბჯენოდა იგი.

იოსები მგრძნობიარეა, მის მეხსიერებასა და ყურს დიდხანს შემორჩა პატარა კახას ძახილი: „ბერბერა, მშვიდობით ბერბერა!“

სოლოლაკის ქუჩაზე გამოსული კვლავ გაჰყვა მოწყენილ ბერბერას უკან, რომელიც თავის სახლში მივიდა. იოსებმა შემოიარა ოთახები, ნახა გაწყობილი სუფრა, მაგრამ არ მიეკარა ნამუსრევს. ეს ალბათ შინაგანი სიამაყე თუ იყო... ან იქნებ გაოგნებისაგან ჭამაც არ ახსოვდა... მერე ზამბარებიან რბილ ლოგინზე პირველად დაწვა. დაქანცულს ძილი არ ეკარებოდა. ასე შემოვიდა დისკომფორტი, სიმდიდრესთან ერთად, იოსების სულში, **მეკურტნის ცნობიერება ახალმა ყოფიერებამ შეცვალა**. ქათქათაბეწვიანი ბატონკაცური ძაღლი ბერბერა მისი ერთადერთი მეგობარი გახდა.

სწორედ ამ დროს დაიწყო სულიერი ქარტეხილები იოსების ფსიქიკაში. ამის დასტურია **სიზმრები** და **ჰალუცინაციები**, რომლებიც ეწვივნენ მეკურტნეს, ამაზე პროტოტიპის მახასიათებელიც მიგვანიშნებს.

გაკვეთილის ამ ნაწილში ჩატარდება ჯგუფური მუშაობა, სიის მონაკვეთების მიხედვით დაკომპლექტდება ოთხი ჯგუფი, მოსწავლეები დაასახელებენ ჯგუფის ლიდერებს, თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი აძლევს დავალებას და ინსტრუქციას, შეფასების კრიტერიუმებით:

პირველი ჯგუფი – სიზმრები და ჰალუცინაციები დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის.

მე-2 ჯგუფი – სიმდიდრეს ბედნიერება არ მოაქვს – მცირე ესე აღნიშნული ნოველის მიხედვით.

მე-3 ჯგუფი – იოსები – თაღლითური სქემის საიმედო საყრდენი.

მე-4 ჯგუფი – „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“, ანუ დიდი იოსები – გარემოების მსხვერპლი.

7-8-წუთიანი მუშაობის შემდეგ ჯგუფის ლიდერები დავალებების პრეზენტაციას იწყებენ. წარმოგიდგენთ მოსწავლეთა ნამუშევრების მოკლე ვერსიას:

სიზმრები და ჰალუცინაციები დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

ნოველაში კარგად ჩანს, რომ ახალ ყოფიერებაში ჩავარდნილი იოსების ფსიქიკაში მკაფიო ცვლილებები ხდება, მდიდრულ სახლში, აუარებელი ქონების შემყურე იოსებს მოსვენება დაეკარგა. მას ესიზმრა, თითქოს ფოთის ბოღაზში მუშაობდა იგი, შავი ქვით გემებს ტვირთავდა, მიადგა ნაპირს უშველებელი გემი, გემის კაპიტანმა უზარმაზარი თუნუქის საყვირით იოსებ ქველიძეს უხმო. მეორე იოსებიც იქვე ჰყავდა გვერდით... მერე თავად წარდგა კაპიტნის წინაშე და უთხრა ამაყად: „მე ვარ იოსებ ქველიძე, დიდ იოსებად წოდებული“...

„თუ შენ ხარ დიდი იოსები, გადააგდე შენი კურტანი და, აჰა, მთელი გემი თუთუნი ჩამოგიტანე“...

სიხარულისაგან მუხლები უკანკალებს იოსებს, გემის ტრაპი ტორტმანებს მის ფეხქვეშ.

ხშირად სვამდა, შინ მთვრალი ბრუნდებოდა, ხმელეთზე არ ეტეოდა მისი ოცნება და სამზეოს მოდებოდა. ეს იმიტომ, რომ ნივთები გაბატონდნენ მასზე... გამოფხიზლებულს მოსვენება დაეკარგა. სადღა იყო მისი აუმღვრეველი ძილი, ის ტკბილი სიზმრები, ავლაბრის სარდაფში რომ ენახა. ეზარებოდა დაძინება, რადგან მახრჩობელა გველივით მოადგებოდნენ კოშმარული სიზმრები. ერთხელ ქიტესას ნათქვამმა, გაქცეულები მთავრობამ შემოირიგა და უკან ბრუნდებიან, თავიანთ სახლებში უნდა ჩასახლდნენო, თავზარი დასცა იოსებს. აქედან დაიწყო მისი დიდი უბედურება: ტანსაცმლით ჩასძინებოდა შეზლონგზე, ეზმანა, კუთხეში მდგომ ფოლადის რაინდს სული აედგა, საშინელი ხრიალით, ფარ- ხმლისა და ჯაჭვის პერანგის ჩხარუნით მოდიოდა ხმალგაშიშვლებული შავნიღბიანი კაცი. ამ კაცში იოსებმა ბინის პატრონი იცნო, მუხლები ჩაეკეცა და შეევედრა, ეპატიებინა მისთვის, რომ მას არასოდეს სხვისი ქონება და ნაოფლარი არ მიუთვისებია, რომ მან, ხელსაყრელი მდგომარეობისაგან წაქეზებულმა, სხვისი ქონება გაფლანგა (იოსები ხომ ავლაბრის ბაზარში უწყვეტად ყიდდა ამ მდიდრული სახლიდან გატანილ ნივთებს), მაგრამ გვიანღა იყო მისი ცრემლში ამოვლებული სინანული, მოისმა საზარელი ფოლადის ტკრციალი და ავარვარებულმა ფოლადის ხმალმა შუაზე გააპო დიდი იოსების თავის ქალა.

შეშფოთებულმა მაგრად გადარაზა კარები, მეორე ოთახს შეეხიზნა, მაგრამ თვალს მილულავდა თუ არა, მაშინვე ეს ფოლადის ხმა ესმოდა. ნაშუაღამევს, სიჩუმე ჩამოდგებოდა თუ არა, მაშინვე გაიქარჩხებოდა მთელი სახლი. ერთხელ მთვრალ იოსებს შუაღამისას მოესმა, როგორ არაკუნდა და არახუნდა მთელი სახლი, როგორ აზრიალდნენ ფანჯრები, გარეთ გავარდა და მეზობელი სტუდენტები შემოიყვანა სანთლებით სახლში, მოუთხრო ყველაფერი. მეორე დღეს კომუნალური მეურნეობის აგენტმა ჩაიბარა ოქმით დიდი იოსების სახლი, ხოლო თავად კი მეეზოვედ დანიშნეს.

ყველაფერი ეს დიდი იოსების ფსიქიკის რღვევის ნათელი დასტურია, რომელიც ახალმა ცხოვრებამ მოჰგვარა იოსებს.

სიმდიდრეს ბედნიერება არ მოაქვს

ეს თეზა კარგად გამართლდა დიდი იოსების ცხოვრების ფონზე.

სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი მეკურტნე,

საგოდელო გაკვეთილი

უსახლკარო და მიუსაფარი, უფრო ბედნიერი აღმოჩნდა სწორედ ასეთ მდგომარეობაში, როცა იგი ალალი შრომით ჭამდა ლუკმას. მას ბედნიერება ვერ მოუტანა სხვისი ქონების დაპატრონებამ, როცა მდიდრულ სახლში მიხაკისფერი ჩოხა მოირგო და სარკეში ჩაიხედა, ამ ჩაცმულობამ მამამისის ბატონი როსტომ წერეთელი მოაგონა. იოსები ამ ჩოხით ვერც ქუჩაში გამოვიდა, რადგანაც იფიქრა, რომ ძველი ნაცნობები დასცინებდნენ. როცა იოსები მდიდრული სახლის ბატონ-პატრონი გახდა, მაშინ აეშალა სწორედ საშინელი, კოშმარული სიზმრები, დაეწყო ჰალუცინაციები და ფსიქიკის რღვევა – როგორ სთხოვს სიზმარში პატიებას ფოლადის მანეკენს, რომელსაც სახლის პატრონის სახე და თვალები აქვს, მაგრამ ამაოდ. როგორც იტყვიან, იოსებს ამ სიმდიდრემ ფეხში ქვა აუგორა და საბოლოო თაღლითური სქემის მონაწილე გახდა. სიცოცხლეც ტრაგიკულად დაასრულა.

იოსები – თაღლითური სქემის საიმედო დასაყრდენი

კონსტანტინე გამსახურდია შთამბეჭდავად მოგვითხრობს ერთი „ფილოსოფოსი“ სტუდენტის თაღლითური სქემის შესახებ, რომელმაც ოსტატურად ჩაითრია ალალი, მიმნდობი იოსები, თაღლითად აქცია და თავისი ავი საქმეების მსხვერპლიც გაიხადა. როგორ მოხდა ეს?

ყველაფერი მაისის მთვარიან ღამეს დაიწყო. სტუდენტი უცნაური სანახაობის მოწმე გახდა: მან დაინახა, იოსები და ბერბერა ბაღის აუზში წყალს ჩაჰყურებდნენ, იოსები ლაპარაკობდა, ბერბერა ყეფდა და ყმუოდა, მერე იოსებმა ორივე ყურებთან ხელი მოსჭიდა ცხოველს, დიდხანს უცქერდა თვალებში, მერე ექსტაზმორეულმა ხელში აიტაცა და აკოცა ცხოველს.

იმავე შაბათს სტუდენტი ეწვია იოსებს. განათლებულმა სტუმარმა დაბნეულ მასპინძელთან დიალოგი გააბა. მერე ჰკითხა, რატომ დადიოდა ყოველ ღამით აუზთან ან რას უყეფდა ბერბერა. იოსებმა უპასუხა, წყალში პურის ნაფშვენებს ვყრი და მთვარეს ვაპურებო... სტუდენტმა კეთილი ნება გამოხატა და იოსები დუქანში წაიყვანა არყის დასალევად. მან კარგად ამოიცნო იოსების მიმნდობი და ალალი ხასიათი. სტუდენტმა დაიწყო იოსების „დამუშავება“, უთხრა, რომ მთვარე, რომელსაც აუზის სარკეში აპურებდა იოსები და ბერბერა უყეფდა, სიკვდილის თეთრი ნიღაბი იყო, „მთვარე რომელიღაც გარდაცვლილი ღმერთის ლეშია, რომელიც კრუხივით გარს უვლის დედამიწას და სიკვდილსა და გაქრობას აგონებს“... მერე მთვარეულებზეც ისაუბრეს... სტუდენტმა მიზანს მიაღწია: მიმნდობი იოსები მისი თანაშემწე გახდა. იოსების ალალი ხასიათი ფსიქოლოგიურად „დაამუშავა“ სტუდენტმა გივიმ და ერთგულ მეგობრად გაიხადა. ამიტომაც, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, ყვითელი ჩემოდნით გვიან ღამით აუყვებოდა გივის ბინასთან მიმავალ კიბეს გადამდგარი მეკურტნე...

ნოველის ფინალში „გაიხსნა“ დიდი საიდუმლო: როცა დიდი იოსები ქუჩაში მანქანამ გაიტანა, მის კვალს ადევნებულმა მწერალმა იოსების ყვითელი ჩემოდანი გახსნა, რომელშიც ყალბი ფული დასტა-დასტად ელაგა. ახლა კი მიხვდა მწერალი, რატომ *„შემოაპარეს ერთხელ იოსებისაგან გადახურდავებული ფული ყალბი ასიგნაციები, რომელიც ქალაქში ვრცელდებოდა“.*

გივისთან ურთიერთობა დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტის მნიშვნელოვანი და ძირითადი დეტალია. ისევ შეცვალა ყოფიერებამ პატიოსანი კაცის ცნობიერება და საბოლოოდ განადგურდა იგი.

„ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“, ანუ დიდი იოსები – გარემოების მსხვერპლი

ნოველის მთავარი მოქმედი გმირი, მთელი ნაწარმოების წიაღში წარმოჩნდება, როგორც საინტერესო ფსიქოლოგიური ტიპაჟი, რომლის ცხოვრება, თავიდან ბოლომდე, წარმართა გარემოებამ, ანუ ყოფიერებამ, პატიოსანმა რაჭველმა კაცმა იოსებმა გრძელი, არასასურველი გზა განვლო. ძმისწულებისაგან მოძულებულმა, ბუდედანგრეულმა, ალალმა, მშრომელმა კაცმა ისე იცხოვრა, რომ მისთვის სიცოცხლესა და არსებობას ბედნიერება არ მოუტანია...

იოსების ცხოვრების ცალკეულ ეტაპებზე იკვეთება **ცუდი** და **უარესი** ყოფა, მაგრამ როცა ერთმანეთს შევადარებთ **იოსებს, როგორც მეკურტნეს** და **იოსებს, როგორც მდიდრული ცხოვრების მეპატრონეს**, ან **თაღლითური სქემით გამდიდრებულ კაცს**, ვხვდებით, რომ სულიერი „კომფორტი“ მეკურტნეობაში ბუდობდა, იმიტომ, რომ ალალი შრომით მოპოვებულ ლუკმას ჭამდა. მისი ცხოვრების შემდგომი ეტაპები სულის დისკომფორტისა და ფორიაქის გამოხატულება გახლდათ. ისმის კითხვა: **რა შემთხვევაში იქნებოდა დიდი იოსები ბედნიერი?**

ბედნიერების ამოსავალი და გამოხატულება ხომ სულის სიმშვიდეა, ამიტომაც, იოსები მშვიდი სულით, ანუ ჯანსაღი ფსიქიკით იცხოვრებდა რაჭაში, მამაპაპეულ კარ-მიდამოში, თუ მას მოძალადე ძმისწულები არ ეყოლებოდა ან თუნდაც თბილისში, მეკურტნეობის ჟამს, როცა თავისი შრომით მოპოვებულ ალალ ლუკმას ჭამდა. ცხოვრებამ და გარემოებამ იოსების სული დააავადა, თავს დაატეხა გაუსაძლისი სულიერი ქარტეხილები... მისი ყოფიერება არის უნებლიე, ხოლო თაღლითი გივი კი – „ნებითი“ დამნაშავე იოსების სულიერ და ფიზიკურ განადგურებაში.

დასკვნა: **ყოფიერება მართლაც განსაზღვრავს ცნობიერებას**.

ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაციის შემდეგ, გაკვეთილი გადადის ***მე-3 ფაზაზე,*** რაც ითვალისწინებს **რეფლექსიას**, გაკვეთილის შეჯამებას.

გაკვეთილის ამ დასკვნით ეტაპზე მოსწავლეები შეაფასებენ თავიანთ აქტივობას, გაკვეთილის გეგმაზე დართული წინასწარ მომზადებული რუბრიკებით, რომელიც საგაკვეთილო მასალებს დანართის სახით ახლავს.

გაკვეთილის გეგმა

საგანი	ქართული ლიტერატურა
კლასი	IX კლასი
მასწავლებელი	მარინე არაბიძე-აშვეთია
თემა	დიდი იოსების ფსიქოლოგიური პორტრეტი – კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „დიდი იოსები“
დრო	40 წუთი
მოსწავლეთა რაოდენობა	30 მოსწავლე
გაკვეთილის აქტუალობა	➢ გარემო ფაქტორები ადამიანის ცხოვრებისა და ფსიქიკის განმსაზღვრელია. ➢ სხვისი სიმდიდრის დაპატრონება ადამიანში სულიერ დისკომფორტს იწვევს. ➢ უბრალო ადამიანების ცხოვრების წესში დევს სულიერი სიმშვიდის ფორმულა. ➢ ალალი შრომა სულიერი სიმშვიდის საფუძველია.
გაკვეთილის მიზანი	➢ ტექსტურ მასალაზე დაკვირვებისა და მსჯელობა-ანალიზის გზით, რეფლექსური აზროვნების ჩვევების გამომუშავება. ➢ მხატვრული ტექსტის გაგება-დამუშავება გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისათვის. ➢ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების გააზრება გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის. ➢ თვითგამოხატვის უნარის განვითარება.
კავშირი ესგ-სთან	ქართ.IX.1. ქართ. IX.5. ქართ.IX.6. ქართ. IX.8. ➢ მოსწავლე შეძლებს მხატვრული ტექსტიდან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობას. ➢ მოსწავლე გამოხატავს საკუთარ ვარაუდს, შეხედულებას, მსჯელობს და აკეთებს სათანადო დასკვნებს. ➢ მოსწავლეს შეუძლია დეტალური ინფორმაციის გააზრება.
წინარე ცოდნა	• ეპოქის ისტორიული ფონი – 1921 წლის 25 თებერვლის ამბები; • კოლაუ ნადირაძის ლექსი – „25 თებერვალი, 1921 წელი“.
საკლასო მენეჯმენტი	<u>პირველი ფაზა</u> – გამოწვევა (5-7წთ); <u>მეორე ფაზა</u> – აქტივობების რეალიზება მიზანთან შესაბამისად (20წთ); <u>მესამე ფაზა</u> – რეფლექსია და შეჯამება (8წთ); დარჩენილი 5 წუთი გამოიყენება გაკვეთილის ფაზების სარეგულიროდ, ვარირებისათვის.
დაჯგუფების ფორმები	მუშაობა მთელ კლასთან, ინდივიდუალური და ჯგუფური
სასწავლო მასალა და რესურსები	სახელმძღვანელო, თაბახის ფურცლები, სტიკერები, მაგნიტური დაფა, კომპიუტერი, მონიტორი, დაფა, ცარცი, თვალსაჩინოდ გამოფენილი: • გაკვეთილის თემა; • ესგ-ით გავალისწინებული მისაღწევი შედეგები; • შეფასების რუბრიკები; • მასალა ლექსიკური მუშაობისათვის.
შეფასება	• განმავითარებელი შეფასება; • შეფასების რუბრიკების შევსება.
თვითშეფასება	• თვითშეფასების რუბრიკების შევსება.

P.S. გაკვეთილის გეგმას თან ახლავს შეფასების რუბრიკათა დანართი. გაკვეთილის ბოლოს, მე-3 ფაზაში – გაკვეთილის გამთლიანება-რეფლექსია, რისთვისაც ვიმარჯვებ შემდეგ რუბრიკებს:

შეფასების რუბრიკათა დანართი

შეფასების რუბრიკა მოსწავლეთათვის
შეფასების კრიტერიუმები

ჩამონათვალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
დასკვნის გამოტანა და განზოგადება	მოსწავლეს სრულყოფილად შეუძლია გმირის ხასიათზე დაკვირვება, გამოაქვს სათანადო დასკვნები, შეუძლია განზოგადება.	ნაწილობრივ შეუძლია, დაკვირვების შედეგად, დასკვნების გამოტანა, ცდილობს განზოგადებას.	ვერ გამოაქვს სათანადო დასკვნები, არ შეუძლია ინფორმაციის განზოგადება.
აზრის ჩამოყალიბება, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარი.	ტექსტზე დაკვირვებით, გაკვეთილის მიზანთან კავშირში, გამოაქვს სათანადო დასკვნები და ლოგიკურად მსჯელობს.	ნაწილობრივ აყალიბებს აზრებს, გამოაქვს ზედაპირული დასკვნები, მიზანთან შესაბამისობაში.	არასწორად აყალიბებს აზრებს, ვერ მსჯელობს სათანადოდ.
თანამშრომლობა	შეთანხმებულად მუშაობს ჯგუფში, კარგად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.	ჯგუფში ვერ მუშაობს საკმაოდ ეფექტურად, უჭირს ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა.	ჯგუფში ვერ მუშაობს შეთანხმებულად, ვერ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.
პრეზენტაცია	ეფექტურად წარმოაჩენს ნაშრომს, მსჯელობს მკაფიოდ და დამაჯერებლად.	ბუნდოვნად წარმოაჩენს ნაშრომს.	ნაშრომი ეფექტურად არ არის წარმოჩენილი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება.

დღეს გაკვეთილზე:

➢ კარგად გავიაზრე გაკვეთილის მიზანი;
➢ ჩავწვდი გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს;
➢ ვიაზროვნე და გამოვიტანე სათანადო დასკვნები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით;
➢ გავაკეთე შთამბეჭდავი პრეზენტაცია;
➢ გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტით დავადასტურე ფორმულა – „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“.

მასწავლებლის თვითშეფასების შინაარსი

დღეს გაკვეთილი:

დადებითი მხარეები

➢ ჩავატარე გეგმის მიხედვით, ესგ-ის ფარგლებში;
➢ წარიმართა წინასწარ გათვლილი ყველა აქტივობის შესაბამისად;
➢ იქცა აზრის თამამად გამოთქმის ასპარეზად;
➢ იყო კარგი, რაც შედეგზე გასვლაში დამეხმარა.

ხარვეზები

➢ არ მოხერხდა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა – 2-3 მოსწავლე პასიურობდა;
➢ სასურველია ინდივიდუალური მუშაობის გაწევა და პასიური ბავშვებისათვის დაძლევადი დავალებების მიცემა, რაც გასათვალისწინებელია შემდგომ მუშაობაში.

მარინე არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, მასწავლებელი

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

Müəllimin və digər işçinin halında tam iş vaxtı eyni şəkildə müəyyən edilirmi və iş vaxtından artıq görülən iş necə hesab olunur?

Gürcüstanın Ali Qanunu, Gürcüstanın Əmək Məcəlləsi müəyyən edir ki, işçinin iş vaxtı həftədə 40 saatdan çox olmamalıdır, müvafiq olaraq tam iş vaxtı həftədə 40 saatı təqdim edir. İşəgötürən 40 saatdan yuxarı vaxtın bu parçasında yerinə yetirilən işin haqqını ödəməlidir. Müəllimə gəldikdə isə, ictimai məktəb müəllimlərinin əmək haqqılarının minimal həcmi və şərtlərinin təyin edilməsi barədə Təhsil və elm nazirinin Əmrinə əsasən, müəllimin tam iş vaxtı 36 saatlıq iş həftəsini nəzərdə tutur və buna da həftədə 18 dərs saatı daxildir. Müəllimə iş vaxtından əlavə iş haqqı iş həftəsində 40 saatdan çox işi olduğu halda verilir ki, buna da 19 və ya daha artıq dərs saatı daxildir.

Müəllimin tək ana olduğu halda, o hansı güzəştlərlə faydalana bilər?

Qanun tək ana olan müəllimi maaş vergilərindən azad edir. Xüsusilə də adi işçinin maaşının 20% dövlətin xeyrinə tutulduğu halda, tək ana belə bir vergilərdən azad edilir. Bu günə qədər əmək haqqılarından vergi tutulan sözügedən statusla faydalanan müəllimlərin hüquqları var ki, Gürcüstan Vergilər Məcəlləsinə əsasən, son 3 il ərzində tutulmuş verginin ödənilməsini tələb etsinlər.

Hər hansı bir fənn qrupu istiqamətində pedaqoji təhsilə malik xüsusi müəllimin bu fəndə imtahan verməklə ənn və ya peşəkar bilgisini təsdiqləmək hüququ varmı?

Müəllimlik fəaliyyətinə başlanılması, peşəkar inkişafı və karyera irəliləyişi sxeminə əsasən, müəllimin konkret fənni tədris etmədiyində, amma müvafiq təhsilə malik olduğu halda, onun hüququ var ki, imtahan verməklə fənn bilgisini təsdiq etsin. Amma peşəkar bacarıqlar imtahanına keçid ala bilməyəcəkdir, çünki peşəkar bacarıqların imtahanını vermək üçün o, təcrübəçi müəllim olmalıdır və müəllimin verilən məqamda fənni tədris etmədiyində, təbii ki, onun təcrübəçi müəllimin sxemi ilə müəyyən edilmiş statusu olmayacaqdır. Müvafiq olaraq, peşəkar bacarıqlar imtahanını verə bilməyəcəkdir.

Müəllimin uzun illər ərzində eyni ictimai məktəbdə işlə təmin olduğu halda, onunla müddətli əmək müqaviləsi bağlanıla bilərmi?

Gürcüstan Əmək Məcəlləsi təyin edir ki, iki dəfə və ya daha çox ardıcıllıqla əmək müqaviləsinin bağlanıldığı və əmək münasibətlərinin ümumi müddəti 30 aydan çox olduğu halda, müddətsiz əmək müqaviləsi bağlanılmış hesab edilir. Bu cəhətdən müəllimə qarşı hər hansı bir istisna yoxdur. İctimai məktəblərdə, bu günə qədər, tez-tez bu normanın pozuntusu ilə imzalanmış müqavilələrə təsadüf edirik. Amma müəllimlə bağlanılmış əmək müqaviləsi 30 aydan çox davam edirsə və onunla müddətli müqavilə bağlanılmışdırsa, bu yalnız işəgötürənin məsuliyyətini yaradır və əmək münasibətinin müddətsiz xarakterini dəyişmir.

Müəllimin hansı əməli intizam xətasının əsasını təşkil edə bilər?

Müəllimin intizam xətasının əsasını müəllimin peşəkar etikanı pozması, məktəbin daxili nizamnaməsi və ya nizamnaməsini yerinə yetirməməsi və ya yaxşı yerinə yetirməməsi, məktəb ərazisində sağlamlıq üçün zərərli maddələrdən istifadə etməsi (tütün, spirtli içki, narkotik maddə və s.) və eləcə də təhlükəsizlik qaydalarını pozması təşkil edə bilər. Müəllimin intizam xətasının əsasını məktəbdən xaricdə həyata keçirdiyi əməlin təşkil etməsinə yol verilmir.

Elə bir standart vardırmı ki, bunun əsasında da müəllimlər arasında dərs saatlarının bölgüsü baş versin? Belə bir bölgünü kim həyata keçirir?

Milli Tədris Planı nəzərdə tutur ki, ictimai məktəbdə, fənn qruplarına müvafiq olaraq, fənn kafedraları yaradılsın. Belə bir kafedraların olduğu halda, dərs saatlarının bölgüsü direktorun iştirakı ilə məhz kafedralarda həyata keçirilir. Kafedranın olmadığı halda isə, bilavasitə müəllimin, eləcə də direktorun iştirakı ilə dərs saatlarının bölgüsünü istək əsasında həyata keçirirlər.

Müəllimə şamil edilən intizam xətasının ləğv edilməsi hansı halda mümkündür?

Müəllimlərin intizam işinin aparılmasına əsasən, intizam cəzasının təsirinin maksimal müddəti 1 ildir və bundan sonra onun qüvvəsi itirilir və nəzərə alınmır. Amma həm xəta şamil edilmiş şəxs, eləcə də intizam şikayətinin müəllifi cəzanın vaxtından əvvəl götürülməsi xahişi ilə intizam komitəsinə müraciət edə bilər və komitə də məsələyə baxış nəticəsində cəzanın vaxtından əvvəl götürülməsi barəsində qərar qəbul edə və tövsiyə ilə ictimai məktəb direktoruna müraciət edə bilər.

Yenidən təşkil əsasında müəllimin işdən azad edilməsi nə dərəcədə düzgündür?

Verilən halda, ictimai məktəblə münasibətdə, hər hansı bir istisna mövcud deyil və qiymətləndirmə Əmək Məcəlləsinə əsasən olmalıdır.

Gürcüstan Əmək Məcəlləsi yenidən təşkili işdən azad edilmənin əsaslarından biri kimi nəzərdə tutur, amma azad etmənin əsasını hər növ yenidən təşkil deyil, işçi qüvvənin ixtisar edilməsi zərurəti də təşkil edə bilər. Mübahisə halında, işəgötürən təsdiq etməlidir ki, zəruri yenidən təşkil şərtlərində işçilərin sayını azaltmaq labüd idi.

İctimai məktəb direktorunun ixtiyarı varmı ki, müəllimlə əmək münasibətini müəllimin ixtisasını artırmaq istəyi əsasında dayandırsın?

Ümumiyyətlə, Əmək Məcəlləsi müəyyən edir ki, işçinin ildə 30 təqvim günündən çox olmayaraq, ixtisasını artırmaq məqsədilə əmək münasibətlərini dayandırmağa hüququ var, amma verilən halda, ictimai məktəb müəllimləri ilə münasibətdə əlavə tənzimləmə fəaliyyət göstərir.

Özəlliklə də ümumi təhsil haqqında Gürcüstan Qanununa əsasən, müəllimin ixtisasını artırmaq hüququ var və bunun üçün də 6 ildə bir dəfə 1 il müddətinə qədər iş yerinin saxlanılması ilə ödənişsiz məzuniyyət götürə bilər.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲖᲔᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ?

საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი განსაზღვრავს, რომ დასაქმებულის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს, კვირაში, 40 საათს, შესაბამისად, სრულ განაკვეთს წარმოადგენს კვირაში 40 საათი. დამსაქმებელი ვალდებულია, აანაზღაუროს დროის იმ მონაკვეთში შესრულებული სამუშაო, რომელიც 40 საათს აჭარბებს. რაც შეეხება მასწავლებელს, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების თანახმად, მასწავლებლის სრული დატვირთვა გულისხმობს 36-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 საგაკვეთილო საათი კვირაში. მასწავლებელს ზეგანაკვეთური ანაზღაურება ეძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც აქვს 40-საათიანი სამუშაო კვირა, რომლის შემადგენლობაშიც შედის 19 ან მეტი საგაკვეთილო საათი.

ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲝᲮᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲔᲐ, ᲠᲐ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲡ?

მასწავლებელს, რომელიც მარტოხელა დედაა, კანონი ათავისუფლებს ხელფასის დაბეგვრისაგან. კერძოდ, თუ ჩვეულებრივი დასაქმებულის თანამდებობრივი სარგოს 20 პროცენტი სახელმწიფოს სასარგებლოდ იბეგრება, მარტოხელა დედა ამგვარი გადასახადისაგან თავისუფლდება. იმ პედაგოგებს კი, ვინც სარგებლობს ამ სტატუსით და დღემდე ებეგრებოდათ შრომის ანაზღაურება, უფლება აქვთ, მოითხოვონ ზედმეტად დაბეგრილი თანხა, ბოლო 3 წლის პერიოდზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲐᲒᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲒᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ?

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, თუ მასწავლებელი არ ასწავლის კონკრეტულ საგანს, მაგრამ აქვს შესაბამისი განათლება, მას უფლება აქვს, დაადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია გამოცდის ჩაბარების გზით. თუმცა, იგი ვერ შეძლებს პროფესიული უნარების გამოცდაზე გასვლას, ვინაიდან პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებისათვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყო პრაქტიკოსი, ხოლო თუ მასწავლებელი საგანს მოცემულ მომენტში არ ასწავლის, ბუნებრივია, მას პრაქტიკოსი მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსი ვერ ექნება. შესაბამისად, იგი ვერ შეძლებს პროფესიული უნარების გამოცდაზე გასვლას.

ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲓᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ?

საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს, რომ ორჯერ ან მეტჯერ, მიმდევრობით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, თუ შრომითი ურთიერთობის საერთო ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, ითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ამ მხრივ, მასწავლებლების მიმართ რაიმე გამონაკლისი არ მოქმედებს. საჯარო სკოლებში, დღემდე, ხშირად ვხვდებით ამ ნორმის დარღვევით გაფორმებულ ხელშეკრულებებს. თუმცა, თუ მასწავლებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა 30 თვეზე მეტხანს გრძელდება და მასთან მაინც ვადიანი შრომითი ხელშეკრულება ფორმდება, ეს წარმოშობს მხოლოდ დამსაქმებლის პასუხისმგებლობას და თავად შრომითი ურთიერთობის უვადო ხასიათს ვერ შეცვლის.

ᲠᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ?

მასწავლებლის დისციპლინური დევნის საფუძველი შეიძლება გახდეს მასწავლებლის მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევა, სკოლის შინაგანაწესის ან წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, სკოლის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების მოხმარება (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკული ნივთიერება და ა.შ.) და, აგრეთვე, უსაფრთხოების წესების დარღვევა. დაუშვებელია მასწავლებლის დისციპლინური დევნის საფუძველი გახდეს სკოლის გარე ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედება.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ, ᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐ�წᲘᲚᲔᲑᲐ �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ? ᲕᲘᲜ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲒᲐᲜᲐ�წᲘᲚᲔᲑᲐᲡ?

ეროვნული სასაწავლო გეგმა ითვალისწინებს, რომ საჯარო სკოლაში, საგნობრივი ჯგუფების შესაბამისად, შესაძლებელია შეიქმნას საგნობრივი კათედრები. ამგვარი კათედრების არსებობის შემთხვევაში, საგაკვეთილო საათების განაწილება დირექტორის მონაწილეობით ხორციელდება სწორედ კათედრებზე. ხოლო, კათედრის არარსებობის შემთხვევაში კი, უშუალოდ მასწავლებლები, ასევე დირექტორის მონაწილეობით, ახორციელებენ საგაკვეთილო საათების განაწილებას სურვილისამებრ.

ᲠᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ?

მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის თანახმად, დისციპლინური სახდელის მოქმედების მაქსიმალური ვადა 1 წელია, რის შემდგომაც იგი ძალადაკარგულია და არ მიიღება მხედველობაში. თუმცა, როგორც სახდელდაკისრებულ პირს, აგრეთვე დისციპლინური საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს დისციპლინურ კომიტეტს, სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის მოთხოვნით, რომელიც, განხილვის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ და რეკომენდაციით მიმართავს საჯარო სკოლის დირექტორს.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲗ �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ?

მოცემულ შემთხვევაში, საჯარო სკოლასთან მიმართებით, რაიმე გამონაკლისი არ არსებობს და შეფასება უნდა მოხდეს შრომის კოდექსის შესაბამისად. საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს რეორგანიზაციას, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს, თუმცა გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყოველგვარი რეორგანიზაცია, არამედ ისეთი, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას. დავის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, რომ, აუცილებელი რეორგანიზაციის პირობებში, გარდაუვალი იყო დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება.

ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ �მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ?

ზოგადად, შრომის კოდექსი განსაზღვრავს, რომ დასაქმებულს უფლება აქვს, წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, შეაჩეროს შრომითი ურთიერთობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, საჯარო სკოლის მასწავლებლებთან მიმართებით, მოქმედებს დამატებითი რეგულაცია. კერძოდ, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს, აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც, 6 წელიწადში ერთხელ, უფლებამოსილია, მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

ᲞᲣᲠᲘᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

Արդյոք միանմա՞ն է սահմանվում լրիվ դրույքը ուսուցչի և այլ աշխատակցի դեպքում, և ի՞նչն է համարվում արտաժամյա աշխատանք:
Վրաստանի օրգանական օրենքը՝ Վրաստանի աշխատանքային օրենսգիրքը, սահմանում է, որ աշխատողի աշխատանքային ժամերի տևողությունը չպետք է գերազանցի շաբաթը 40 ժամը, համապատասխանաբար, լրիվ դրույքը հանդիսանում է շաբաթական 40 ժամը: Գործատուն պարտավոր է հատուցել այս ժամանակահատվածում կատարված այն աշխատանքը, որը գերազանցում է 40 ժամը: Ինչ վերաբերում է ուսուցչին, Հանրային դպրոցների ուսուցիչների աշխատավարձի նվազագույն գումարի և պայմանների սահմանման մասին Վրաստանի կրթության և գիտության նախարարի հրամանի համաձայն, ուսուցչի լրիվ ծանրաբեռնվածությունը ենթադրում է 36-ժամյա աշխատանքային շաբաթ, որը ներառում է 18 դասաժամ մեկ շաբաթվա ընթացքում: Ուսուցչին արտաժամյա վճարում տրվում է այն դեպքում, երբ նա ունի 40- ժամյա աշխատանքային շաբաթ, որը ներառում է 19 կամ ավելի դասաժամ:

Եթե ուսուցիչը միայնակ մայր է, ի՞նչ արտոնություններից կարող է նա օգտվել:
Ուսուցչին, որը միայնակ մայր է, Օրենքն ազատում է աշխատավարձից կատարվելիք պահումներից: Մասնավորապես, եթե սովորական աշխատողի աշխատավարձի 20 տոկոսը հարկվում է պետության օգտին, ապա միայնակ մայրն ազատվում է նման հարկից: Իսկ այն ուսուցիչները, որոնք օգտվում են այս կարգավիճակից և մինչև օրս նրանց աշխատավարձը հարկվում էր, ըստ Վրաստանի հարկային օրենսգրքի, իրավունք ունեն պահանջելու ավելորդ հարկված գումարը վերջին 3 տարվա ժամանակահատվածի համար:

Արդյոք իրավունք ունի՞ հատուկ ուսուցիչը, որը մանկավարժական կրթություն ունի որևէ առարկայական խմբի ուղղությամբ, հավաստել այս առարկայից առարկայական կամ մասնագիտական իրավասությունը, քննություն հանձնելու միջոցով:
Ըստ Ուսուցչի գործունեություն սկսելու, մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայի, եթե ուսուցիչը չի դասավանդում կոնկրետ առարկան, սակայն ունի համապատասխան կրթություն, նա իրավունք ունի հաստատելու առարկայական իրավասությունը քննության միջոցով: Սակայն նա չի կարողանա մասնագիտական կարողությունների քննության ներկայանալ, քանի որ մասնագիտական կարողությունների քննություն հանձնելու համար անհրաժեշտ է, որ նա գործող ուսուցիչ լինի, իսկ եթե նա տվյալ պահին այդ առարկան չի դասավանդում, բնական է, որ նա Սխեմայով սահմանված գործող ուսուցչի կարգավիճակ չի կարող ունենալ: Հետևաբար, նա չի կարողանա մասնակցել մասնագիտական կարողությունների քննության:

Այն դեպքում, եթե ուսուցիչը երկար տարիներ աշխատում է միևնույն հանրային դպրոցում, թույլատրելի՞ է արդյոք նրա հետ կնքել ժամկետային աշխատանքային պայմանագիր:
Վրաստանի Աշխատանքային օրենսգիրքը սահմանում է, որ երկու կամ ավել անգամ, հաջորդաբար աշխատանքային պայմանագիր կնքելու դեպքում, եթե աշխատանքային հարաբերության ընդհանուր տևողությունը գերազանցում է 30 ամիսը, համարվում է, որ կնքված է անժամկետ պայմանագիր: Այս առումով, ուսուցչի նկատմամբ որևէ բացառություն չի գործում: Հանրային դպրոցներում մինչև օրս հաճախ հանդիպում են այս նորմի խախտմամբ ձևակերպված պայմանագրեր: Սակայն, եթե ուսուցչի հետ գոյություն ունեցած աշխատանքային հարաբերությունը 30 ամսից երկար է շարունակվում, և նրա հետ միևնույն է ժամկետային պայմանագիր է ձևակերպվում, դա առաջացնում է միայն գործատուի պատասխանատվություն, և աշխատանքային հարաբերության անժամկետ բնույթը չի կարող փոխել:

Ո՞ր արարքը կարող է դառնալ ուսուցչի կարգապահական հետապնդման հիմք:
Ուսուցչի կարգապահական հետապնդման հիմք կարող են դառնալ ուսուցչի կողմից մասնագիտական էթիկայի խախտումը, Դպրոցի ներքին կանոնակարգի կամ Կանոնադրության չկատարումը կամ ոչ պատշաճ կատարումը, դպրոցի տարածքում առողջությանը վնասակար նյութերի օգտագործումը (ծխախոտ, ալկոհոլ, թմրանյութ և այլն), ինչպես նաև, անվտանգության կանոնների խախտումը: Անթույլատրելի է, որ ուսուցչի կարգապահական հետապնդման հիմք դառնա դպրոցի տարածքից դուրս իրականացված գործողությունը:

Կա՞ արդյոք չափորոշիչ, համաձայն որի պետք է տեղի ունենա դասաժամերի բաշխումը ուսուցիչների միջև: Ո՞վ է կատարում նման բաշխումը:
Ազգային ուսումնական պլանը նախատեսում է, որ հանրային դպրոցում, առարկայական խմբերին համապատասխան, կարող են ստեղծվել առարկայական ամբիոններ: Նման ամբիոնների գոյության դեպքում, դասաժամերի բաշխումը տնօրենի մասնակցությամբ կատարվում է հենց ամբիոններում, իսկ ամբիոնների բացակայության դեպքում՝ նույնպես տնօրենի մասնակցությամբ, դասաժամերի բաշխումը կատարում են անմիջապես ուսուցիչները ըստ ցանկության:

Ի՞նչ դեպքում է հնարավոր չեղյալ համարել ուսուցչի նկատմամբ սահմանված կարգապահական տույժը:
Ուսուցիչների կարգապահական վարույթի կարգի համաձայն՝ կարգապահական տույժի գործելու առավելագույն ժամկետը 1 տարի է, որից հետո այն ուժը կորցրած է համարվում և այլևս հաշվի չի առնվում: Սակայն, ինչպես տույժի ենթարկված անձը, այնպես էլ բողոքի հեղինակը կարող են դիմել կարգապահական հանձնաժողովին, տույժը վաղաժամկետ չեղարկելու պահանջով, որն էլ քննարկման արդյունքում, որոշում է կայացնում տույժը վաղաժամկետ չեղարկելու մասին և երաշխավորությամբ դիմում է հանրային դպրոցի տնօրենին:

Արդյոք արդարացվա՞ծ է, վերակազմավորման հիմքով ուսուցչին աշխատանքից ազատելը:
Տրված դեպքում, հանրային դպրոցի հետ կապված, որևէ բացառություն գոյություն չունի և գնահատումը պետք է տեղի ունենա Աշխատանքային օրենսգրքի համաձայն: Վրաստանի աշխատանքային օրենսգիրքը վերակազմավորումը համարում է աշխատանքից ազատելու հիմքերից մեկը, սակայն աշխատանքից ազատելու հիմք կարող է դառնալ ոչ ամեն տեսակ վերակազմավորում, այլ այնպիսին, որի դեպքում պարտադիր է դառնում աշխատուժի նվազեցումը: Վեճի դեպքում գործատուն պետք է ապացուցի, որ վերակազմավորման պայմաններում անխուսափելի էր աշխատողների քանակի նվազեցումը:

Հանրային դպրոցի տնօրենն արդյոք իրավունք ունի՞ դադարեցնել ուսուցչի հետ աշխատանքային հարաբերությունն այն հիմքով, որ ուսուցիչը ցանկանում է բարձրացնել որակավորումը:
Ընդհանուր առմամբ, Աշխատանքային օրենսգիրքը սահմանում է, որ աշխատողն իրավունք ունի տարին ոչ ավելի, քան 30 օրացուցային օր, ընդհատել աշխատանքային հարաբերությունները որակավորման բարձրացման նպատակով, սակայն տվյալ դեպքում հանրային դպրոցի ուսուցիչների հետ կապված գործում է լրացուցիչ կարգավորում: Մասնավորապես, «Ընդհանուր կրթության մասին» Վրաստանի օրենքի համաձայն, ուսուցիչն իրավունք ունի բարձրացնել իր որակավորումը, ինչի համար յուրաքանչյուր 6 տարին մեկ անգամ իրավազոր է պահանջելու առանց վճարման արձակուրդ մինչև 1 տարի ժամկետով, աշխատատեղի պահպանմամբ:

Թարգմանությունը՝ **Զոյա Մխիթարյանի**

ᲡᲐᲡᲬᲠᲝᲚᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

თავი საქართველოს ნაწილად რომ იგრძნონ

საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციამ (დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი – დოქტორანტი **რუსუდან გონაშვილი**, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ეკატერინე შარაშიძე**, ასოციაციის მდივანი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ეკა მერებაშვილი**), იანვარში, გამოაცხადა ქსელური პროექტი „ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად“, რომლის მიზანი იყო: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება; შემოქმედებითი უნარების და კრიტიკული აზროვნების განვითარება; ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხიმგებლობის გააზრება; ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. უმთავრესი და უპირველესი მიზანი კი მოსწავლეებში აფხაზეთის გახსენება და არდავიწყება იყო.

პროექტის ყველა ეტაპი one note-ში შექმნილ დღიურებში იწერებოდა და შუქდებოდა. მონაწილეებს შეეძლოთ ერთმანეთის ნამუშევრების ნახვა.

ალბათ, გაგიკვირდებათ, როგორ გავბედე პროექტში ჩართვა, როცა არაქართულენოვან სკოლაში ვასწავლი... ყველა ღონეს ვხმარობ ჩემი მოსწავლეების ქართული ენით დასაინტერესებლად. მინდა, ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა დავანახო, რომ მომავალში თავი საქართველოს ნაწილად და ნამდვილ მოქალაქეებად იგრძნონ.

დასაწყისში თითქოს სინანულმაც შემიპყრო, პროექტში რომ ჩავერთე, რადგან უჭირდათ ჩემს მოსწავლეებს გაეგოთ, რატომ გვტკივა ქართველებს აფხაზეთი, რატომ არის აჭარაში დედაქალაქი – ბათუმი თუ საქართველოა და ა.შ.

ერთ მოსწავლეს ეწერა: საქართველოში ომები არ არის და კარგია, მე ჩემი სომხეთი და იქ დაღუპული ახალგაზრდები მეცოდებაო... გამოვიდა, რომ ვერ გაიგეს წინა დღეებში ნაამბობი; გამოდის, საერთოდ არ იციან რა ხდებოდა საქართველოში, აფხაზეთის ომის დროს, 2008 წლის აგვისტოშიც კი.... რუკას მივვარდი და სულმოუთქმელად დავიწყე ახსნა, ნათლად რომ წარმოედგინათ რატომ ვტირით აფხაზეთს და იმ ომში დაღუპულ ადამიანებს, რატომ არიან საქართველოში დევნილები.... აგვისტოს ომზეც ვისაუბრე, ომის გმირებზეც და იმ ავბედითი დღეების ვიდეოკადრებიც ვაჩვენე, რომელთა ყურება უემოციოდ არ შემიძლია!

ჩუმად ვიცრემლებოდი და ვხედავდი მათ სახეზე ჩრდილს, ომის კადრების ხილვით გამოწვეულს, არაქართველი ბავშვების თვალებში ჩამდგარ შეძრწუნებას.

სვანი ბიჭის, ზურა გურჩიანის წერილიც გავაცანი, რომელიც კამანში დაიღუპა. ესეები დაწერეს, აფხაზი გოგოს და ანა ფრანკის დღიურების მიხედვით – „ომის შუქ-ჩრდილები“. ვფიქრობ, მათ უკვე გაიგეს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და ქართველებს ისევე გვტკივა, როგორც იმ დედას, შვილს რომ ააგლეჯენ მკერდიდან.

სწორედ ამიტომ ჩავრთე ეს ბავშვები პროექტში „ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად“, რომ საქართველო გამეცნო... წავიკითხეთ და განვიხილეთ „აფხაზური კანტატა“. მანამდე დახურულ ჯგუფში დავდე და მიზანიც შევახსენე. ორმა მოსწავლემ დამიწერა, რომ გაუგებარი იყო მათთვის, ამიტომ გაკვეთილზე განსახილველად გადმოვიტანე.

გამაოცა ლუსინემ, რომელსაც უკვე მზად ჰქონდა ნახატი და მიმოხილვაც. ავტვირთე მისი ნაშრომი, ოდნავ შევასწორე, რომ მისი აზრი და სტილი არ დამერღვია. ვფიქრობ, ჩემს არაქართველ მოსწავლეებს ამ პროექტმა ბევრი რამ შესძინა.

ერთ-ერთი ეტაპი გიორგი ოვაშვილის ფილმის „სიმინდის კუნძული“ ჩვენება და შემდეგ განხილვის დაწერა იყო – რისი თქმა სურდა რეჟისორს. რამდენიმე დღის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ, გრძელდებოდა ფილმის ჩვენება. ვაკვირდებოდი ბავშვების სახეებს. გზადაგზა ვაჩერებდი ჩვენებას და კითხვებს ვუსვამდი.

მაინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ. ლუსინეს რატომღაც არ მოსწონდა გოგონა და ცოტა ირონიულადაც განეწყო, მაგრამ როცა ვუთხარი, შენ წარმოიდგინე თავი მის ადგილზე-მეთქი, დაფიქრდა და მეორე დღეს სულ სხვა აზრი გამოთქვა.

ფილმის ბოლოს ვიმსჯელეთ. ფრთხილად ვანვდიდი ჩემს აზრებს, თავს რომ არ მომეხვია, მაგრამ მიმართულება მიმეცა. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უნდა ვთქვა, რომ სომეხმა მოსწავლეებმა პროექტის ყველა ეტაპი ღირსეულად გადალახეს.

11 მაისს, სოხუმის უნივერსიტეტში, პროექტი გრანდიოზული ღონისძიებით დასრულდა. დარბაზი სავსე იყო იმ გასაოცარი ბავშვებით, აფხაზეთი რომ თვალით არ უნახავთ, მაგრამ ამ პროექტმა მათთვის ახლობელი გახადა.

მონაწილის სერტიფიკატებთან ერთად, რუსა გონაშვილმა თავის რჩეულ პედაგოგებს, გაწეული საქმიანობისთვის, სპეციალური სერტიფიკატები გადმოგვცა. თვალს ვადევნებდი თითქმის ყველა მონაწილის ესეს და სიამოვნების ჟრუანტელი მივლიდა, რწმენას და იმედს მისახავდა, რაც ამ ბავშვების გამოსვლებმა კიდევ უფრო გამიასმაგა!

არა მგონია, იმ დარბაზიდან გამოყოლილი მუხტი ვინმეს მალე გაუქრეს. განსაკუთრებით ჩემს ლუსინეს, მარტინას, ნელის და ეთერას! მათი ცხოვრების ისტორიაში ხომ კიდევ ერთი ლამაზი, მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა!

ᲚᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ
ხოჯორნის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი

გამოცდილება

გარე დაკვირვება – გამოწვევა და შესაძლებლობა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში დაგეგმილი სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განხორციელება შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მასწავლებელს, შეაფასოს საკუთარი პრაქტიკა, განსაზღვროს საჭიროებები და იზრუნოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

სქემა განსაზღვრავს მასწავლებლის ოთხ სტატუსს: პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, მენტორი მასწავლებელი.

მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება ან შენარჩუნება დამოკიდებულია მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე.

ამჟამად მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა მასწავლებელს სტატუსის მინიჭების რამდენიმე გზას სთავაზობს.

2011 წლიდან, როცა ნებაყოფლობითი იყო პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა, აქტიურად ჩავერთე პროცესში და დავარწმუნე კოლეგები, რომ ამ გამოწვევას შეეძლო მეტად დავეფიქრებინეთ სად ვართ, რას ვაკეთებთ და არის თუ არა ჩვენი მუშაობა სახელმწიფო მოთხოვნების შესაბამისი. თუ ჩვენ თავს გავართმევდით სქემის ფარგლებში განსაზღვრული საქმიანობების ხარისხიანად შესრულებას, ამით გავიუმჯობესებდით პრაქტიკას და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა მოგვეცემოდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა გარე დაკვირვების წესი. ამ წესის მესამე მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ გარე დაკვირვების გავლის უფლება აქვს უფროს მასწავლებელს, რომელსაც სურს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

ა) წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტქულებიდან მოპოვებული აქვს, არანაკლებ, 13 კრედიტქულა;

ბ) უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოპოვების შედეგად, განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2017 წლის ოქტომბერში, გარე დაკვირვების ეტაპის პილოტირებისთვის, შეირჩა იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონი. მომეცა შესაძლებლობა გამევლო რეგისტრაცია და, გარე დაკვირვების წესისამებრ, ყველა პროცედურა განმეხორციელებინა.

2017 წლის 28 ნოემბერს, გარე დაკვირვების ფარგლებში, ჩავატარე გაკვეთილი, რომელიც დადებითად შეფასდა და საბოლოოდ მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე სკოლის შიდა შეფასების ჯგუფმა წინადადებით მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს სტატუსის ცვლილების თაობაზე. დღეს წამყვანი მასწავლებლის პოზიციიდან ვსაუბრობ და უფრო თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპია გარე შეფასების თვალსაზრისით, ასევე კარგი გამოცდილება და შესაძლებლობა კარიერული წინსვლისთვის.

ამ ეტაპზე, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 სკოლაში 22 მასწავლებელი მუშაობს, მათგან 4-მა წარმატებით გაიარა გარე დაკვირვება, 3 დარეგისტრირებულია და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, ველოდებით სასურველ შედეგებს, 11 უფროსი მასწავლებელია. მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სასწავლო წლის განმავლობაში, ორჯერ აცხადებს რეგისტრაციას გარე დაკვირვების გავლის მსურველთათვის.

ყურადღებას გავამახვილებ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც გასათვალისწინებელია გარე დაკვირვებისთვის მზადების პროცესში:

• დადგენილ ვადებში ელექტრონული რეგისტრაციისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიუთითოს ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო საგანი, რომელსაც ასწავლის და სურს გარე დაკვირვების გავლა.

• მიუთითოს საგნის შესაბამისი საათობრივი დატვირთვა კვირის განმავლობაში.

• რეგისტრაციის დასრულებიდან ერთ თვეში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, გარე დაკვირვების პერიოდის ასახვას დარეგისტრირებული მასწავლებლის ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის ველში.

• გარე დაკვირვებაზე რეგისტრირებული მასწავლებლების დაკვირვების პერიოდის შესახებ ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გადასცემს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

• გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირებული მასწავლებელი, მისთვის განსაზღვრული პერიოდის დაწყებამდე, არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, ვალდებულია, ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს შესაბამის პერიოდში მიყოლებით ჩასატარებელი 5 გაკვეთილის გეგმა, რომელთაგან ერთ-ერთზე განხორციელდება დაკვირვება.

• გაკვეთილის გეგმის ფორმას ამტკიცებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

• მასწავლებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას, შესაძლებელია მასწავლებლის მიერ წარდგენილი ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის ცვლილება.

გარე დაკვირვების ეტაპებია:

• წინასაგაკვეთილო შეხვედრა;

• გაკვეთილზე დაკვირვება;

• გაკვეთილის შეფასება.

მასწავლებლისთვის წინასაგაკვეთილო შეხვედრა, ძირითადად, მოიცავს ინფორმაციის გაცემას კლასის ზოგადად დასახასიათებლად, ასევე, ამ ეტაპზე ზუსტდება, გაკვეთილის გეგმაში შეტანილია თუ არა რაიმე ცვლილება და რით არის განპირობებული. წინასაგაკვეთილო შეხვედრის შემდეგ, დამკვირვებელი აკვირდება გაკვეთილის მიმდინარეობას და, ჩატარებიდან 10 დღეში, აფასებს მას. მასწავლებელს საბოლოო შედეგი eschool-ის საინფორმაციო სისტემის საკუთარ გვერდზე, შესაბამის ველში აესახება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია 5 გაკვეთილის გეგმის შემუშავება და გაკვეთილების მიზნობრივი კავშირი ერთმანეთთან. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს, რამდენად იქნება ყოველი წინა გაკვეთილის მიზნის მიღწევა, ახალი გაკვეთილისთვის სასარგებლო წინარე ცოდნა და გამოცდილება. როგორ არის თითოეული გაკვეთილის მიზანი ფორმულირებული და რამდენად შესაძლებელია, საბოლოო შედეგით, კარგად გაიზომოს საგაკვეთილო მიზნის მიღწევა.

მნიშვნელოვანია, გაკვეთილის დაწყებისთანავე, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის ზრუნვა და მათი ჩართულობის ხარისხის ზრდა, რაშიც მასწავლებელს აქტივობების თანმიმდევრობის სწორად განსაზღვრა ეხმარება. საბოლოო ჯამში, დაგეგმილი აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს დაბალი საზრვენო უნარებიდან მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ერთი გაკვეთილის ფარგლებში, შესაძლებელია, კარგად გამოიკვეთოს რა მამოტივირებელი ფაქტორები, ქმედებები განსაზღვრავს მოსწავლეთა ინტერესების ზრდას, მათ გააქტიურებასა და დადებითი განწყობის შექმნას გაკვეთილისთვის. ამ ეტაპის კარგად დაგეგმვით, მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს, თანმიმდევრულად გაჰყვნენ გზას მარტივიდან რთულისკენ, გაიღვივონ ინტერესი, თვითონვე გააანალიზონ და შეაფასონ პროცესები და გამოიტანონ დასკვნები. ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებელი გაკვეთილზე გამოიყენებს, უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილ აქტივობას, რაც მას საგაკვეთილო მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანი მეთოდური დახმარება გამიწია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულმა მასწავლებლის წიგნმა „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში"/ავტორთა ჯგუფი: სოფიკო ლობჟანიძე, მაია ფირჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი; გამოცემის წელი – 2016/.

ხუთივე გაკვეთილის გეგმის შემუშავების პროცესში, სწავლების მეთოდოლოგიის განსაზღვრისას, ვიხელმძღვანელე აღნიშნული წიგნით. დაგეგმვისას, უპირველესად, ვფიქრობდი, თუ რამდენად დამეხმარებოდა შერჩეული მეთოდი საგაკვეთილო მიზნის მიღწევაში, იყო თუ არა მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების შესაბამისი და რამდენად სწორად შეირჩა დაგეგმილი აქტივობისთვის.

დროის მენეჯმენტისა და კლასის მართვის თვალსაზრისით მეთოდის შერჩევისას ისიც გავითვალისწინე, რამდენი დრო დასჭირდებოდა, ტექნიკურად, შერჩეული მეთოდის განხორციელებას, რა რესურსებს მოითხოვდა და მეთოდის სრულფასოვნად განსახორციელებლად, იქნებოდა თუ არა კლასში მოსწავლეთა საკმარისი რაოდენობა, გაკვეთილის რომელ ფაზაზე გამოვიყენებდი და რა საბოლოო შედეგამდე მიგვიყვანდა მე და ჩემს მოსწავლეებს.

გარე დაკვირვების ეტაპის ნარმატებით გავლა, ჩემი აზრით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ სამიზნე კლასის მოსწავლეებს, შერჩეული მეთოდის განხორციელების პროცესში, ეფექტურად გამოიყენონ სწავლის სტრატეგიები, რამდენად შესწევთ უნარი ახალი ინფორმაციის აღქმის, გაანალიზების, შეფასებისა და შემდგომ ეტაპებზე გამოყენების; შეუძლიათ თუ არა სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა დროს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებელმა ყველაზე უკეთ იცის, რა შეუძლიათ მის მოსწავლეებს, რამდენად არიან მზად გააკეთონ ჩანაწერები, შეავსონ სქემები, დაახარისხონ, შეადარონ, შეაფასონ, თავი გაართვან სხვადასხვა სირთულის დონის დავალებებს, გაინაწილონ სამუშაო, ითანამშრომლონ, დაიცვან საკლასო წესები, დაიცვან დროის ლიმიტი, იმსჯელონ, გამოიტანონ დასკვნები და ა.შ. ყველა ეს შესაძლებლობა და უნარი მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული გაკვეთილის დაგეგმვისას, მეთოდისა და აქტივობის შერჩევისას, სასწავლო რესურსების შექმნისა თუ შეთავაზებისას და შეფასებისას. როცა ვსაუბროთ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის სწავლა-სწავლების პროცესზე, სწორედ მასწავლებლის მიერ კარგად შესწავლილ კლასს ვგულისხმობთ, ანუ თითოეული მოსწავლის მიერ გასავლელ გზას რეალური შედეგიდან შესაძლებლობის მაქსიმუმამდე.

მიმაჩნია, რომ გარე დაკვირვება არის გამოწვევა და კარგი შესაძლებლობა, დააკვირდე საკუთარ პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ გარე დამკვირვებელი მხოლოდ ერთ გაკვეთილზე გესწრება, ფაქტობრივად, გიწევს შენ მიერ 5 თანმიმდევრულად ჩატარებული გაკვეთილის თვითშეფასება, მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვება, გამოყენებული მეთოდებისა და აქტივობების ეფექტიანობისა და ეფექტურობის განსაზღვრა, კლასის საჭიროებების გამოკვეთა, გაკვეთილების მიზნების შედეგებში ასახვის მონიტორინგი და ცვლილებების განხორციელების დაგეგმვა. ეს საკმაოდ საინტერესო პროცესია, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

მაია მამისეიშვილი
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი

მარტივი რიცხვების პოვნა – ერატოსთენეს მეთოდი

ვისაუბროთ მარტივ რიცხვებზე. ამ რიცხვების შესახებ უამრავი საინტერესო კითხვა დაისვა. ბევრ კითხვას უკვე გაეცა პასუხი, ზოგიერთი კითხვის პასუხი კი ჯერაც უცნობია.

ავიღოთ ნატურალურ რიცხვთა მწკრივი:1, 2, 3, 4, 5... ამ მწკრივში არ არის უდიდესი რიცხვი. როგორი დიდი რიცხვიც უნდა იყოს ნატურალური n რიცხვი, მასზე დიდი რიცხვიც მოიძებნება. n-ის მომდევნო რიცხვი მასზე 1-ით მეტია, ე.ი. არის n+1. ამიტომ ვამბობთ, რომ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა.

უმცირესი ნატურალური რიცხვი არის 1. მას 1 გამყოფი აქვს; შემდეგი რიცხვია 2. მას 2 გამყოფი აქვს: 1 და 2; სამსაც 2 გამყოფი აქვს: 1 და 3; 4-ს 3 გამყოფი აქვს: 1, 2, 4; ხუთს 2 გამყოფი აქვს: 1 და 5; ექვსს – 4 გამყოფი და ა.შ. ზოგ რიცხვს შეიძლება ბევრი გამყოფი ჰქონდეს. მაგალითად, 30-ს აქვს 8 გამყოფი: 1, 2, 3, 5, 6, 10, 15, 30. როგორც ვხედავთ, 1-ის გარდა, ყოველ ნატურალურ რიცხვს აქვს ორი ან ორზე მეტი გამყოფი. თუ რიცხვს მხოლოდ ორი გამყოფი აქვს, 1 და თავისი თავი, ასეთ რიცხვს მარტივი ეწოდება, ხოლო თუ ორზე მეტი გამყოფი აქვს – შედგენილი. 1 არც მარტივია, არც შედგენილი.

მარტივ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა. ამასთანავე, ცხადია, რომ სიმრავლე მარტივი რიცხვებისა, რომლებიც n-ს არ აღემატებიან, სასრულია.

როგორ ვიპოვოთ ეს მარტივი რიცხვები? ამის გაკეთება ადვილია იმ წესით, რომელიც გამოჩენილ ბერძენ მეცნიერს, ერატოსთენეს ეკუთვნის. გავეცნოთ ამ წესს.

ვთქვათ, გვინდა ვიპოვოთ n-ზე არაუმეტესი ყველა მარტივი რიცხვი. ამოვწეროთ ყველა რიცხვი 1-დან n-ის ჩათვლით:1, 2, 3, 4, 5...n. რიცხვთა ამ რიგში პირველია 1. ის არც მარტივია და არც შედგენილი. ამიტომ წავშალოთ. შემდეგი რიცხვია 2. ის მარტივი რიცხვია და დავტოვოთ. წავშალოთ მისი ჯერადი ყველა რიცხვი. ამისათვის საკმარისია 3-დან დაწყებული ყოველი მეორე რიცხვის წაშლა. ამით წაიშლება ყველა შედგენილი რიცხვი, რომელიც 2-ზე იყოფა. შემდეგი რიცხვია 3. ის მარტივია, ამიტომ არ წავშლით. წავშალოთ მისი ჯერადი ყველა რიცხვი. ე.ი. 4-დან დაწყებული ყოველი მესამე. დათვლისას წაშლილი რიცხვებიც უნდა მივათვალოთ. ასე რომ, ზოგიერთი რიცხვის მეორედ წაშლა მოგვიწევს. ასეთი რიცხვებია: 6, 12, 18, 24... ეს რიცხვები, ერთდროულად, 2, 3, 6-ის ჯერადი რიცხვებია. ამის შემდეგ დარჩენილი პირველი წაუშლელი მარტივი რიცხვი იქნება 5. ის დავტოვოთ და წავშალოთ მისი ჯერადი ყველა მომდევნო რიცხვი. ე.ი. 6-დან დაწყებული ყოველი მეხუთე. გადავდივართ შემდეგ ამოუშლელ მარტივ რიცხვზე. ასეთია 7 და ა.შ. საბოლოოდ, ყველა შედგენილი რიცხვი წაიშლება. წაუშლელი დარჩება ყველა მარტივი რიცხვი. მაგალითად, თუ n=60, მივიღებთ:>

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60

ამ წესით, თითქოს, რიცხვებს საცერში ვცრით, შედგენილ რიცხვებს ცხავში ვატარებთ და მხოლოდ მარტივ რიცხვებს ვიტოვებთ, ამიტომ, მარტივი რიცხვების მოძებნის ამ წესს „ერატოსთენეს საცერი" ჰქვია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერატოსთენეს საცრით სარგებლობა არაეკონომიურია, რადგანაც ბევრი წაშლა გვიხდება. მაგრამ როგორც კი იმ მარტივ რიცხვამდე მივალთ, რომლის კვადრატი n-ზე მეტია, წაშლა შეგვიძლია შევწყვიტოთ. ყველა შედგენილი რიცხვი 1-დან n-მდე წაშლილი იქნება. მაგალითად, 1-დან 1000-მდე მარტივი რიცხვების მოსაძებნად 101-მდე რომ მივალთ, შეგვიძლია აღარ გავაგრძელოთ, რადგან 101 არის მარტივი რიცხვი და $101^2>10000$.

ნელი კუბათაშვილი
თბილისის №190 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
ა. ბენდუქიძე, „მათემატიკა სერიოზული და სახალისო".

თვალსაზრისი

ახალი შესაძლებლობები

ადამიანის ბუნებაში დევს ძველის ვერ შელევის თვისება. იქნებ ეს შიშია სიახლისა და არა სიყვარული ძველისა. ვინ იცის, მაგრამ ახლის შიში, ეს თითქოსდა უვნებელი მდგომარეობა ადამიანისა, საკმაოდ მავნებელი და, ზოგ შემთხვევაში, მომაკვდინებელიც შეიძლება იყოს.

ტყუილად არ წერდა ილია: „მოძრაობა და მოძრაობა“...

ჩემზე ჭკვიან ადამიანებს უთქვამთ, რომ წარსული (ძველი) ვერ ვითარდება. ის უკვე იყო, მასში ევოლუცია ვერ მოხდება, მომავალი მომავალია, რომელსაც ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, ვგეგმავთ, მაგრამ დროს თავისი კორექტირება შეაქვს. ე.ი. რეალური, ათვისებადი, შედარებით მართვადი, განვითარებადი აწმყოა.

რა ხდება სკოლაში აწმყოში?

ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხი ყველას თავისი აქვს. პასუხებს შორის კი შემაშფოთებლად ზოგიერთი მასწავლებლის აზრები მიმაჩნია:

– რეფორმამ დაღუპა სკოლა!

– კომპიუტერმა სულ დააჩლუნგა ახალგაზრდები!

– დალოცვილი ძველი მეთოდები!

– აბა, არ ჯობდა კომუნისტური სკოლა?! და ა.შ.

რა გამოლევს მსჯელობის მოყვარულებს. თითქოსდა უვნებელი მსჯელობა საკმაოდ საზიანოდ მეჩვენება სკოლისთვის. აქ უფრო ძველზე ჩაბღაუჭებისა და ქილიკის ნიშნებია, ვიდრე ჭირისუფლის სევდისა. ვითომდა გულშემატკივრის როლის თამაში არასასიკეთოდ ადგება ჩვენი მოსწავლეების განათლების ხარისხს.

მასწავლებლების უმთავრეს ღირსებად და შეფასების კრიტერიუმად მისი თანამედროვეობა მგონია, მას არ შეჰფერის პროგრესის უარყოფა, სად აქვს ჩვენი პროფესიის ადამიანს წარსულის გამოტირების დრო, ეს „ფუფუნებაა“ ფუჭად დროის კარგვისა. დრო კი უმოწყალოდ გარბის და თაობები იზრდებიან ამ, ვითომდა „ცუდი“ განათლების რეფორმის გამო, არასათანადოდ განათლებულები. ბოლო კვლევებიც ადასტურებენ საქართველოში განათლების დაბალ ხარისხს.

მოსწავლეთა განათლების დაბალი ხარისხის მიზეზს ყველგან ვეძებთ, გარდა საკუთარი თავისა. მაგრამ ხომ არ შეიძლება, ეს ხომ არალოგიკურია, რომ პრობლემას, სადავო საკითხს მხოლოდ ერთი მხარე ჰქონდეს?

ვერც ერთი რეფორმა, რაც უნდა კარგი იყოს, თუ არ გავითავისეთ და განვახორციელეთ, შედეგს ვერ მოგვიტანს. ამ აზრს გარკვეული საფუძველი აქვს: უამრავი თანხა, სხვადასხვა რესურსი იხარჯება ჩვენთვის ჩატარებული ტრენინგებისთვის, სამწუხაროდ, უმრავლესობამ აუდიტორიიდან გამოსვლისთანავე იცის, რომ ისევ ძველებურად იმუშავებს. რატომ? იმიტომ, რომ „შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველს“.

აი, თუნდაც, ტრენინგები, რომელიც ისტ-ის გაკვეთილზე გამოყენების უნარ-ჩვევებს ეხება, უამრავ შესაძლებლობას უხსნის თანამედროვე მასწავლებელს (თუ ის მართლაც თანამედროვეა), საინტერესო და ეფექტიანი გაკვეთილი ჩაატაროს. ამის უარყოფა არ შეძლება. თამაზ ბოლქვაძე „განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიებში“ წერს: *„მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის ტენდენციები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის წარმატება დღეისთვის იმაზეა დამოკიდებული, – და უფრო მეტად იქნება დამოკიდებული სამომავლოდ, – როგორი წარმატებით მოხდება საგანმანათლებლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის გაფართოება. ტექნოლოგიებმა დიდი ხანია თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობაში შემოაბიჯა და უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, კოსმოსური სიჩქარითაც ვითარდება და ლამის ყოველდღიურად გასაოცარი სიახლეების მოწმენი ვხდებით. ვფიქრობ, წარმოდგენაც კი შეუძლებელია, როგორ ტექნოლოგიებს გამოიყენებენ თუნდაც 20 წლის შემდეგ, უფრო შორეულ მომავალზე რომ აღარაფერი ვთქვათ.“*

შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ ამ აზრს. სწორედ ამიტომ, მინდა გაგიზიაროთ ჩემი პედაგოგიური გამოცდილება და მაგალითისთვის მხოლოდ ერთს შევეხები – googls docs-ში მუშაობა.

მოგეხსენებათ, ბავშვებს ძალიან უჭირთ საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება. რას არ ვაკეთებთ მასწავლებლები, მაგრამ შედეგი ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს. ზოგიერთ მასწავლებელს ამაზე მარტივი პასუხი აქვს: – წიგნს ხელში არ იღებენ, არ კითხულობენ და იმიტომ.

გასაგებია, მაგრამ რა ცოდნაც აქვთ, რასაც გრძნობენ, რაც შეემთხვათ, იმასაც ვერ აყალიბებენ, უჭირთ კონსტრუქციები, ტექსტის აგება და ა.შ. ან რა ვთქვათ იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც კითხულობენ, მაგრამ წერილობით აზრის ჩამოყალიბების პრობლემა მაინც აქვთ? როგორც ჩანს, საქმე არც ისე მარტივადაა.

წინა საუკუნეებთან შედარებით, მოსწავლეთა ყოფითი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. არ ვიცი რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ ვფიქრობ, ცხოვრების აჩქარებული რიტმი, უწყვეტი ინფორმაცია, დაძაბული სოციალური ფონი, გლობალური ფაქტორები და კიდევ მრავალი სხვა უცილობლად მოქმედებს მათზე. მოჭიმულები არიან, უძნელდებათ ყურადღების კონცენტრაცია. შინ დაბრუნებულებს სხვადასხვა პრობლემებიც ხვდებათ, ამიტომ მოდუნება, სხვა საქმეზე გადართვა უფრო უადვილდებათ. ახალ-ახალი ინფორმაციით გადატვირთულებს, ბევრი რამ ავიწყდებათ ან ივიწყებენ, მათი გონება ფილტრაციას ახდენს. ხშირად ავიწყდებათ საშინაო დავალების რვეული და უამრავი სხვა რამ. ასეთ დროს ამართლებს მეთოდი, როდესაც ძირითად მასალას ითვისებენ კლასში.

რა ხდება მასწავლებლის შემთხვევაში? ის ხომ იმავე მდგომარეობაშია, ცხოვრების ტემპი მისთვისაც შეიცვალა. ასეც რომ არ იყოს, ძნელია, ამდენი რვეულის გასწორება და ინდივიდუალურად თითოეულ შეცდომაზე კომენტარის გაკეთება. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გვაძლევს შანსს, საქმე გავიმარტივოთ. აი, თუნდაც google docs-ში მუშაობა შესანიშნავ შესაძლებლობას მაძლევს, თითოეულ მოსწავლეს, წერის პროცესშივე გავუსწორო და კომენტარი გავუკეთო შეცდომებზე, ცოცხალ რეჟიმში ვითანამშრომლო მათთან და გეზი მივცე. მერწმუნეთ, შესანიშნავი შედეგი გექნებათ. მოსწავლეები უცებ ხვდებიან, რას ვითხოვთ მათგან, სად აქვთ სუსტი მხარე და ა.შ.

google docs-ში მუშაობა არ გზღუდავს დროსა და სივრცეში. გაზიარებულ დოკუმენტში მოსწავლეთა ნამუშევრებზე მყისიერ რეაგირებას (კომენტარს) ვახდენდი. მოსწავლეები პროცესშივე იაზრებდნენ ხარვეზებს, ეს ძალიან ეფექტური და ეფექტიანი იყო. ვინაიდან ხშირად მოსწავლე რვეულში მასწავლებლის მიერ გასმულ ხაზს არც კი ნახულობს, ვერ ვითარდება, ხოლო google docs-ში მუშაობა ამ პროცესს სახალისოს და უფრო პროდუქტიულს ხდის. ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც აერთიანებს მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესებს.

ეს მეთოდი გამოვცადე არგუმენტირებული ესეს დაწერის შესწავლისათვის. შედეგი აშკარად გამოჩნდა. თუ წიგნი და რვეული ჩვენთვის ორგანული იყო, მათთვის ორგანულია – book და google.docs. შევძლებდით ჩვენ განათლების მიღებას წიგნისა და რვეულის გარეშე? ასე ვერ შეძლებს ახალი, 21-ე საუკუნის თაობა, ხარისხიანი განათლების მიღებას ახალი ტექნოლოგიების გარეშე.

აქ მეორე პრობლემა იჩენს თავს, ხშირად, ინტერნეტი და კომპიუტერები ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. ვფიქრობ, და ვიცი, რომ არა მარტო მე ვფიქრობ ამაზე – დასაჩქარებელია სკოლების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია, რათა ამდენი რესურსი, რაც პედაგოგთა კვალიფიკაციაზე იხარჯება, წყალში გადაყრილი არ იყოს, რომ შევძლოთ ჩვენი ცოდნისა და უნარის გამოყენება სასწავლო პროცესში. 21-ე საუკუნის ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ჩვენი „კოსმიური“ ინდიგო ბავშვებისთვის, გაკვეთილი მართლაც მოსაბეზრებელი იქნება. დრო მიდის, მიქრის, მასთან ერთად თაობები იზრდებიან და ჩვენი ნელი ტემპი ან უმოქმედობა, რბილად რომ ვთქვა, საზიანოა.

დაბოლოს, მაინც მინდა ვთქვა, რომ სანამ ერთმანეთს დავადანაშაულებთ, ჩვენი საქმე კეთილსინდისიერად შევასრულოთ.

გისურვებთ პროფესიულ ტკბობას.

მარინე ასანიძე

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

მოგზაურობა ჩრდილების თეატრში

თითქმის განვლო სასწავლო წელმა, ვფიქრობ, კიდევ ერთი აქტიური და სიახლეებით დატვირთული წელი გამოვიარეთ. ჩემი აზრით, ყველა პედაგოგს აქვს ძალა და უნარი, მოსწავლეების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. მასწავლებლობა ჩემთვის პროფესიაზე მეტია, მხიბლავს მუდმივი სწრაფვა სიახლეებისკენ, ამასთანავე მიყვარს მრავალფეროვნება, ფერადი დღეები, რომელსაც ვქმნი ჩემს მოსწავლეებთან ერთად. მეც ყოველდღე ვსწავლობ და შემდეგ მათ ვასწავლი, ჩვენ ერთად ვცვლით სამყაროს და მჯერა, რომ სასწაულები აუცილებლად ხდება. მთავარი, რაც უნდა გავითავისოთ, ეს არის დაუღალავი შრომა, სიყვარული და სიახლეების კეთების სურვილი.

ვიცი ძნელია მასწავლებლობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბევრ შრომას მოითხოვს, არამედ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შენ გაბარია ამდენი ადამიანი, უნდა დაეხმარო, გახდნენ საზოგადოების სრულყოფილი წევრები. მე აღებული მაქვს ჩემი წილი პასუხისმგებლობა, დავეხმარო კეთილისა და ბოროტის გარჩევაში, იყვნენ კეთილი ადამიანები და უყვარდეთ ერთმანეთი. ყველა მოსწავლეში დევს დიდი ნიჭი, არ შეიძლება მხოლოდ ერთი გადმოსახედიდან შევაფასოთ შემსწავლელი, მხოლოდ საგნობრივი ცოდნის კომპეტენციით განვსაზღვროთ მისი წარმატებულობა. მნიშვნელოვანია, რის პოვნას ვეცდებით თითოეულ მათგანში, თუ მოვინდომებთ, აუცილებლად მივაგნებთ იმ სიღრმეებს, რომელიც მათი ბავშვობის მიღმა იმალება, მთავარია საკუთარი თავი ვაპოვნინოთ, მივცეთ რწმენა იმისა, რომ ისინი შეძლებენ და აუცილებლად გამოუვათ ყველაფერი.

დიახ, მე მათ ვასწავლი ცეკვასაც, სიმღერასაც. სანამ მოსწავლეებამდე მივიტან ამ ყველაფერს, ვცდილობ ჯერ თავად შევისწავლო და შემდეგ მათ ვასწავლო, ამასობაში, მივიღე გამოცდილება, ბევრი რამ შევისწავლე და გავიაზრე. არ მავიწყდება ის ფაქტი, რომ ყველანი ადამიანები ვართ, უბრალო ადამიანები, ხოლო სტერეოტიპი, რომ მე მასწავლებელი ვარ და ისინი – მოსწავლეები, უბრალოდ დარღვეულია, რადგან ვფიქრობ, რომ მათთვის ვარ მათიანი და ასე უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ სასკოლო ცხოვრებაში.

მინდა იცოდნენ ხელოვნების ფასი, უყვარდეთ ხელოვნება თავიანთ თავში და არა თავიანთი თავი ხელოვნებაში. რადგან ვფიქრობ, რომ თუ ხელოვნებას შეიყვარებენ, ამით უფრო შორს წავლენ. გოეთეს აზრით: „ხელოვნება გამოუთქმელის შუამავალია“, ამიტომაც ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს ხელოვნება შევაყვარო.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, გადავწყვიტეთ, სტუმრად წავსულიყავით ჩრდილების თეატრში, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ სახელწოდება ხიბლავს ადამიანს – „ბუდრუგანა-გაგრა“. მათი არსებობა უკვე წლებს ითვლის, ყველაფერი ჩანაფიქრით დაიწყო, რომ ყოფილიყო თოჯინების თეატრი, მაგრამ უსახსრობის გამო, თურმე ვერ ხერხდებოდა თოჯინების შეძენა და გადაწყვიტეს, შიშველი ხელებით წარმოედგინათ სპექტაკლი... დღეს ამ თეატრმა მწვერვალებს მიაღწია, ყველასგან გამოირჩევა ორიგინალობით, მხატვრული ოსტატობით. ყველაზე მეტად მაინც სახელწოდებამ დამაინტერესა. მთავარი ხიბლი ხომ ის არის, რომ ამ დასში აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები არიან, რაც მათ ნამუშევარშიც იგრძნობა. როცა შენობაში შევედით, თბილად მიგვიღეს, პირველად იყო გაცნობითი შეხვედრა, აგვიხსნენ ამ თეატრის მნიშვნელობა და გავიცანით მსახიობები, რომელთაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა სანახაობაში, გაგვაცნეს თეატრის დაარსების ისტორია. შესვლისთანავე თვალში გხვდება კედელზე ბუდრუგანელი დათვი და რეჟისორის – გელა კანდელაკის „ჩრდილი“.

დაიწყო ჩვენება. ჩვენ თვალწინ ჩრდილები გაცოცხლდნენ, თვალწინ დამიდგა ძველი მოგონება, როცა უშუქობის პერიოდი იდგა საქართველოში და „ლამპის“ შუქზე კურდღლის გამოსახულებას გვიჩვენებდნენ კედელზე, მაშინ ეს გვართობდა და გვეცინებოდა, ახლა ვხვდები, თუ რამდენი შეუძლია მოზღვავებულ ფანტაზიას. ვუყურებდით კედელს და ჩვენ თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა – ზღვა, რომელიც ნაზად ლივლივებდა, თითქოს აფხაზეთის ზღვას და ტკივილს გვაგონებდა. უცებ კი, დათვის ბელი გამოჩნდა, რამაც მოსწავლეების აღფრთოვანება გამოიწვია.

ცარიელი ხელები, რომლებიც სხვადასხვა ფიგურებად გარდაიქმნენ... თავდაპირველად, მეგონა, რომ ხელებით ამ ყველაფრის გაკეთება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. შემდეგ უფრო ახლოდან დავინახეთ პროცესი, ეკრანს მიღმა შეგვახედეს და უფრო მეტიც, თავად მოსწავლეებს ასწავლეს ამ ფიგურების შექმნა, რაც ძალიან საინტერესო და სახალისო იყო, ბავშვებმა ძალიან ისიამოვნეს, დაბოლოს, თბილად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

ეს არ იყო სტუმრობა მხოლოდ ერთი დღისთვის, იქ განცდილი ემოციები დიდხანს გაგვყვება, ამასთანავე, გვინდა, ჩვენს სკოლაში, აი ასე, ცარიელი ხელებით და ფანტაზიით დავდგათ წარმოდგენა. ბავშვები მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი ბევრ შრომას მოითხოვს, მთელი გზის განმავლობაში იმეორებდნენ ფიგურების შექმნის ტექნიკას. მჯერა, ჩვენს სურვილსაც ავიხდენთ და დავდგამთ მოკლე სპექტაკლს, თუ რაზე იქნება, ამას, ძვირფასო მკითხველებო, სიურპრიზად დავტოვებთ და, მოგვიანებით, აუცილებლად გაგიზიარებთ.

ხოლო ვინც ჯერ კიდევ არ ყოფილა ამ თეატრში, გირჩევთ, ეწვიოთ „ბუდრუგანა-გაგრას“, წაიყვანოთ ბავშვებიც, რადგან ეს ყველა ასაკის მაყურებლისთვის თანაბრად საინტერესოა, იქ მიღებული ემოცია დიდხანს გაგყვებათ და ლამაზ მოგონებად დაგრჩებათ. მსახიობები, კეთილი ღიმილით და თითების ელასტიური მოძრაობით, წარმოუდგენელ სანახაობებს გვთავაზობენ, ეს ძალიან დიდი ნიჭია და დიდი შრომის ფასადაც მიიღწევა. აც სხვას ახალისებს და ცხოვრებას ულამაზებს. თავის დროზე, როცა მოსწავლე ვიყავი, ვინმეს რომ ეჩვენებინა ჩემთვის ეს საოცრება – ხელოვნებისადმი სიყვარული, შესაძლოა მეც, დიდი შრომის ფასად, მიმეღწია მწვერვალისთვის. ახლა ამ შანსს ჩემს მოსწავლეებს ვაძლევ და მჯერა, რომ ისინი სასწაულს შეძლებენ.

სალომე ქირია

იუბილე

მათი ცხოვრების გზა ნათელია

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა დედოფლისწყაროს რაიონულმა ორგანიზაციამ საინტერესო ბიოგრაფიის და დიდი შრომითი ღვაწლის ორ ქალბატონს – **ლამარა ჭიჭინაძეს** და **ციცინო ჩაფიაშვილს**, რომელთაც პირველ მაისს და 5 მაისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდათ, საიუბილეო საღამო მოუწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში.

საღამოზე მოწვეული იყვნენ: იუბილარების ოჯახის წევრები, მათი ყოფილი თანამშრომლები, თანაკლასელები, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები.

საიუბილეო საღამოს წამყვანმა, ჟურნალისტმა **ლალი მეხრიშვილმა** ისაუბრა ორივე ქალბატონის შრომით მოღვაწეობაზე და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ლამარა ჭიჭინაძის თანაკლასელის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, მსოფლიოს მევენახეობისა და მეღვინეობის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრის, **ვაჟა მამიაშვილის** მილოცვა, ასევე მისი მასწავლებლის **მარიამ ისაიშვილის** გზავნილი, მენტორის – **ჯემალ კოტაშვილის**, ეროვნული ბანკის წითელწყაროს ყოფილი განყოფილების მმართველის წერილი, რომლებიც ავადმყოფობის გამო, საუბილეო საღამოს ვერ ესწრებოდნენ.

პედაგოგ ციცინო ჩაფიაშვილის მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა საბავშვო ბაღის მეთოდისტმა, **ნათელა თამაზაშვილმა**. დამსწრე საზოგადოებას ღვაწლმოსილი პედაგოგების – **ცისანა მჭედლიშვილის** და **მერი კოჭლამაზაშვილის** მილოცვა გააცნეს.

იუბილარებს მიესალმნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი** და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ნანული ნატროშვილი**; გაზეთ „შირაქის“ დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**; სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის პედაგოგები: **მარიამ გვრიტიშვილი**, **თამარ ხითარიშვილი**; ფარმაცევტი **ნათელა ღრუბელაშვილი**, ბიბლიოთეკის მმართველი **მანანა მაჭარაშვილი**, განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **მაყვალა მაძღარაშვილი**, რომელმაც ციცინო ჩაფიაშვილს სპეციალური სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადასცა; ექიმი-თერაპევტი **ლილი მეგაშვილი**, პედაგოგი **ნიაზ პაპუაშვილი** და სხვ.

საიუბილეო საღამო გაალამაზა შესანიშნავმა ტრიომ, ქართული ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებლებმა: **ნინო ნიკვაშვილმა**, **მზია წყარუაშვილმა** და **ეკა ტალახაძემ**; დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ძმებმა **გიორგი** და **ნიკოლოზ გველუკაშვილებმა** ფანდურზე შეასრულეს ხალხური სიმღერების პოპური; დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების, და-ძმა **კესო** და **გურამ გოგაშვილების** მიერ ჩონგურზე შესრულებულმა პოპულარულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა, ასევე, სამრეკლოს ანსამბლის ხელმძღვანელის, **გაიოზ ხუთიშვილის** და სოლისტების – **ნატო ჩიბუხაშვილის და ნანა უძილაურის** მიერ დები იშხნელების რეპერტუარიდან შესრულებულმა სიმღერებმა.

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის XII-კლასელებმა – **გიგა ჩაფიაშვილმა** და **ანტონ ლომსაძემ** წაიკითხეს ლექსი „ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!“; ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი“ რედაქტორ-გამომცემელმა, **გიორგი ნატროშვილმა** იუბილარ ქალბატონებს საჩუქრად გადასცა ალმანახის ახალი ნომერი ავტოგრაფით.

საღამოს დასასრულს სამადლოებლი სიტყვა წარმოთქვეს ქალბატონებმა – **ლამარა ჭიჭინაძემ** და **ციცინო ჩაფიაშვილმა**. მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს პროექტის

ავტორს და ორგანიზატორს, მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარეს, იაკობ გოგებაშვილის და ზურაბ ანჯაფარიძის პრემიების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს **ნანა ჭიჭინაძეს**, პროექტის მხარდამჭერებს – მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარეს, წარმატებულ ფერმერს, **ვანო ნატროშვილს**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, **ნიკოლოზ ჯანიაშვილს** და დამსწრე საზოგადოებას, დედაქალაქიდან სპეციალურად ჩამოსულ სტუმრებს, მათი იუბილის ასე ლამაზად აღნიშვნისათვის.

ლამარა ჭიჭინაძეს ორი ვაჟიშვილი, ექვსი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი ჰყავს. ერთ-ერთი, პაპის მოსახელე ნუგზარი, შვედეთში ცხოვრობს; მარიამი შავი ზღვის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მე-2 კურსის წარჩინებული სტუდენტია, მან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტი მოიპოვა.

ციცინო ჩაფიაშვილს ოთხი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი – ლუკა ჰყავს. ერთ-ერთმა შვილიშვილმა – ქეთომ მე-11 კლასი, გაცვლითი პროგრამით, ამერიკაში გაიარა, ახლა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსელია და კვლავ გაცვლითი პროგრამით, ფინეთში სწავლობს. ქეთი პრეზიდენტის სტიპენდიანტია.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამაგდარ ქალბატონებს იუბილეს. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ თითოეულ მათგანს!

მარიკა პოპიაშვილი

კონფერენცია

ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია – ICYS

19-26 აპრილს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში, XXV საიუბილეო ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილე ქვეყნების რიცხვმა წელს სარეკორდო მაჩვენებელს – 32-ს, ხოლო მონაწილეების რაოდენობამ 300-ს მიაღწია. კონფერენციის მონაწილეები, ტრადიციულად, 6 სექციაში (გარესამყაროს მეცნიერებები, სიცოცხლის მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები, ინჟინერია, ფიზიკა, მათემატიკა) ასპარეზობენ.

საქართველოს ნაკრები წარმოდგენილი იყო ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 10 და ქართულ-ამერიკული სკოლის 2 მოსწავლით. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა წარმატებას 3 სექციაში მიაღწიეს. მათ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

1. **ნიკა ფილაური** – ბრინჯაოს მედალი – მათემატიკა;
2. **ნიკოლოზ ღვინიაშვილი** – ბრინჯაოს მედალი – მათემატიკა;
3. **ნიკოლა კაპანაძე** – ბრინჯაოს მედალი – მათემატიკა;
4. **მარიამ გორდაძე** – ბრინჯაოს მედალი – სიცოცხლის მეცნიერებები;
5. **მარიამ მამალაძე** – ბრინჯაოს მედალი – სიცოცხლის მეცნიერებები;
6. **ნათია კობახიძე** – ბრინჯაოს მედალი – ინჟინერია;
7. **ნიკოლოზ ცაგარეიშვილი** – ბრინჯაოს მედალი – ინჟინერია;
8. **გვანცა მამალაშვილი** – სპეციალური სერტიფიკატი – სიცოცხლის მეცნიერებები;
9. **ანანო ღიბრაძე** – სპეციალური სერტიფიკატი – სიცოცხლის მეცნიერებები;
10. **თამთა ჯაში** – სპეციალური სერტიფიკატი – სიცოცხლის მეცნიერებები;
11. **ალექსანდრე მუსელიანი** – სპეციალური სერტიფიკატი – მათემატიკა;
12. **ნიკოლოზ მესხი** – სპეციალური სერტიფიკატი – მათემატიკა.

აღსანიშნავია, რომ 3 სექციაში გამარჯვება მხოლოდ საქართველოს გუნდმა მოიპოვა. აღნიშნული შედეგით საქართველო, გუნდურად, V ადგილზე გავიდა.

ვულოცავთ ჩვენს ნაკრებს გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ შემდეგ წლებშიც.

ქართულ -ამერიკული სკოლის დირექცია

ახალი ამბები

მსოფლიო მნიშვნელობის ტურიზმის სკოლა საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, **მიხეილ ჩხენკელი**, ტურიზმის მიმართულებით მსოფლიოში ლიდერი სკოლის – le Roshes – პრეზენტაციას დაესწრო. le Roshes, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) ბაზაზე, სასტუმროების მენეჯმენტის საერთაშორისო პროგრამით დაიწყებს ფუნქციონირებას, რაც მსურველებს შესაძლებლობას მისცემს, ტურიზმის მიმართულებით მაღალი დონის საერთაშორისო განათლება მიიღონ.

პირველ ეტაპზე, პროგრამა განკუთვნილია ტურიზმის სფეროში დასაქმებული საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის, რომელთა მომზადების პროცესში ჩართული იქნებიან le Roshes-ს პრაქტიკოსი ლექტორები და სპეციალისტები. ხოლო მეორე ეტაპზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, le Roshes-ისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხარდაჭერით, დაფუძნდება ტურიზმის სკოლა, სადაც მომზადდებიან ქვედა და საშუალო რგოლის კადრები. ახალი თანამშრომლობა უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი, მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისებასა და ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

le Roshes-ს მსოფლიო აღიარება მოუტანა ინოვაციურმა საგანმანათლებლო პროგრამებმა, რაც პრაქტიკისა და თეორიის სინთეზს ეფუძნება. 2018 წელს, დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ le Roshes ტურიზმის ინდუსტრიაში ლიდერად დასახელდა.

მიხეილ ჩხენკელი: *„დარწმუნებული ვარ, Les Roche – ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის სფეროში მსოფლიო ლიდერი სკოლის საქმიანობა საქართველოში ხელს შეუწყობს ჩვენში ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ზრდას და დარგის კიდევ უფრო განვითარებას.*

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა ამ პროექტის განსახორციელებლად – ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას.

პირადად ჩემი და სამინისტროს სახელით, მხარდაჭერას გპირდებით თქვენს უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობაში და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ.“

ტრანზიციის პოლიტიკა ინკლუზიური განათლებისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, დაწყებულია სკოლამდელი განათლებიდან და სოციალური სერვისებიდან სკოლაში უმტკივნეულო გადასვლის (ტრანზიციის) პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, საერთაშორისო ექსპერტმა, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, **ჯულიეტ ჰენკოკმა**, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს საერთაშორისო გამოცდილება გააცნო. შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** ესწრებოდა, რომელმაც სისტემისთვის ტრანზიციის პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

პროგრამის მიზანია, უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის გზით, შემუშავდეს სოციალური სერვისებიდან, სკოლამდელი და სასკოლო მზაობის კლასებიდან ბავშვების ზოგადი განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის პოლიტიკის დოკუმენტი და პროგრამა.

საქართველოში, დღეს, ბავშვებისთვის არსებობს ბაღის, ადრეული ჩარევის, სასკოლო მზაობის და ოჯახებში მიღებული განათლების გამოცდილება, რაც განსხვავებულად აისახება მათ სოციალურ და აკადემიურ უნარებზე. პროექტი ემსახურება იმას, რომ დროულად და ეფექტიანად განხორციელდეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სისტემიდან და საფეხურიდან გადასვლის პროცესი.

ლია გიგაური: *„საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევად ემოციურ მზაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე სტრესული დღეები თითოეული ბავშვისათვის არის სახლიდან საბავშვო ბაღში შესვლა, ბაღიდან სკოლაში გადასვლა ან ერთი სკოლიდან – მეორეში. ამიტომ, პირველად საქართველოს ისტორიაში, იწყება პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ეფექტურ ტრანზიციას, გადასვლას ერთი სისტემიდან მეორეში, ერთი ინსტიტუციიდან მეორეში ან ერთი სერვისიდან მეორეში, რაც განაპირობებს მათ მზაობას, სიმშვიდესა და მხარდაჭერას თითოეულ ინსტიტუციაში.“*

სასკოლო აქტივობა

თამარობა – 2018

ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გიორგი ქომეთიანი**), ტრადიციულად, ყოველწლიურად აღინიშნება მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები. 14 მაისს, მოვაწყვე ღონისძიება თემაზე – „თამარობა – 2018“.

ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეთა ცნობიერებისა და წიგნიერების ამაღლება, ინტელექტუალური და პატრიოტულ-შემოქმედებითი უნარის განვითარება.

მოსწავლეებმა წარმოაჩინეს თამარ მეფის მოღვაწეობის ყველა სფერო და აღნიშნეს: თუ ოდესმე წელში გამართულა საქართველო, ეს თამარის მეფობის დროს ყოფილა. თამარის დროს ჰქონდა სიტყვას ძალა, გულს სიმტკიცე, მკლავს სიმაგრე. მეფე დედოფალი იყო, მაგრამ დედაბოძად ედგა ჩვენს ქვეყანას. იგი აღსავსე იყო ხიბლითა და სიბრძნით, გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობითა და ჰუმანურობით. მის დროს აშენდა: გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი, ვარძია და, რაც მთავარია, შეიქმნა მსოფლიო კულტურის სწორუპოვარი ძეგლი – „ვეფხისტყაოსანი“. უმდიდრესი იყო, მაგრამ სადა და მოკრძალებული, დიდი გამარჯვება მოიპოვა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში. შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთით დაარსდა ტრაპიზონის იმპერია... ქართველმა ერმა მისი მოღვაწეობის პერიოდი „ოქროს ხანად“ შეაფასა.

მოსწავლეებმა თეატრალურად წარმოადგინეს ლადო ასათიანის ლექსი „ბასიანის ბრძოლა“. ტექსტს კითხულობდა **ბესო იაკობაშვილი**, თამარ მეფის როლს ასრულებდა **ნანუკა მაჭარაშვილი**, რუქნად-დინის როლს კი – **ბონდო ჯელია**, მოციქული – **ლუკა ძაძამია**, ზაქარია მხარგრძელი – **გიორგი გელაშვილი.**

ასევე თეატრალურად წარმოადგინეს აკაკი წერეთლის ლექსი „სიზმარი“. ტექსტს კითხულობდა **მარიამ ბეთხოშვილი**, თამარ მეფის როლს ისევ **ნანუკა მაჭარაშვილი** ასრულებდა, შოთა რუსთაველს – **გიორგი გელაშვილი**, თინათინი – **მარიამ ბახტურიძე,** ნესტან-დარეჯანი – **თეკლა ბეთხოშვილი**.

დასასრულ, მოსწავლეებმა წაიკითხეს: გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, კოლაუ ნადირაძის, ოთარ ჭილაძის ლექსები, შეასრულეს ცეკვა „სამაია“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მშობლები, სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. სასწავლო ნაწილის გამგემ, **ნუნუ ბაღდოშვილმა** მადლობა გადაუხადა V კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის თავმჯდომარე, V კლასის დამრიგებელი

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

ეროვნული იმპლიციტური



მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი



ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ამოვეშალოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

პრაქტიკული და ლექსიკონი

სერიის ფასი 17.70 ლ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჟურჟლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.

სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად.

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

8 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აბიტურიენტის პრობა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

4 ლარი



თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია საატესტატო გამოცდისთვის ლ. ბურდილაძე, ნ. სარჩელიშვილი, ქ. მელრაძე, დ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია

10 ლარი

თამარ ბერიაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიობენეს“ ეროვნული აქციის სკოლებისთვის



გოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საგაკვეთილო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს ალმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.